საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ოთხშაბათი, 20 ოქტომბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 10 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 250 მანეთი. ცალკე ნომერი ფასი 10 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 10 მანეთი. ნეკროლოგიური განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 400 მანეთი. ხელნაწერი განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 238 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 238

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4, მესამე სართული შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

კასიანე და გიორგი გარაყანიძეები აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ, რომ 20 ოქტომბერს დღის 12 საათზე წმინდა ნინოს სასაფლაოზე გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა ძვირფას დის

პატუშას (ეკატერინე) მაჭავარიანის

სულის მოსახსენებლად. (3384—2—2

გამოუთქმელი მწუხარებით გულმოკლულნი: მეუღლე ლიზა, შვილები: გივი და ქრისტინე ცინცაძენი, სიმამრი დიმიტრი, სიდედრი ქრისტინე, ცოლის ძმა ვარლამი ოჯახობით, ცოლის დები: ფაცია, ვერა, მარიამი და ნინა გველესიანები ვაუწყებთ ნათესავთ-ნაცნობებთ სახელმწიფო კონტროლის რევიზორის

გერონტი ბესარიონის ძის ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე კახეთის ქუჩა 24 გამოსვენება ბინიდან ვაგზალზე სამშაბათს 19 ოქტომბერს ნაშუადღევს სამ ნახევარ საათზე ლანჩხუთში წასასვენებლად. (3384—2—2)

მწუხარებით გულჩათხრობილი უბედური მშობლები: ბესარიონ და ტერეზი ძმები: დავით და პართენი, რძალი ლიზა, ძმისშვილები თამარ, გიორგი და ქსენია ცინცაძენი აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ სახელმწიფო კონტროლის რევიზორის

გერონტი ბესარიონის ძის ცინცაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება ბინიდან კახეთის ქუჩა 24 ლანჩხუთში წასასვენებლად დანიშნულია ცხრამეტ ოქტომბერს ნაშუადღევს სამ ნახევარ საათზე. პანაშვიდები ბინაზე ყოველ დღე საღამოს ხუთ საათზე. (3383—2—2)

უდროვოდ გაუბედურებულები: მამა სილიონი, დედა მარიამი; დები: ქეთო, ნინა და ნატალია უზომო მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ნაცნობ-მეგობრებს მათი უძვირფასესი სახალხო გვარდიის პირველ იმერეთის ბათალიონის ადიუტანტის

გრიგოლ სილიონის ძე გველესიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, სოფ. სამებაში, შორაპნის მაზრა. (3393 1—1)

სახალხო გვარდიის პირველი იმერეთის ბათალიონის ადიუტანტი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს და საზოგადოებას მეორე გუნდის უფროსის ამხანაგის

გრიშა გველესიანის

უდროოდ გარდაცვალებას. (3393 1—1)

სახალხო გვარდიის პირველ იმერეთის ბათალიონის მუდმივი და სათადარიგო გვარდიელები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას და ამხანაგებს მათი უფროსი ამხანაგის ადიუტანტის

გრიშა გველესიანის

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაცვალებას. (3393 1—1)

სახალხო გვარდიის პირველი ბათალიონის მეორე გუნდის გვარდიელები გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და საზოგადოებას მათი დაუვიწყარი გუნდის უფროსის

გრიგოლ (გრიშა) სილიონის ძე გველესიანის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება სოფ. სამებაში, შორაპნის მაზრაში, დღით ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს. (33 3 1—1)

დარია გიორგის ასული ცერაძისა, ანნა ივანეს ასული და გიორგი დიმიტრის ძე მელიქიძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს გადახდილ იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი მათის ძვირფასის და დაუვიწყარის

მარიამ გიორგის ასულის წინამძღვრიშვილის

სულის მოსახსენებლად. წირვა გადახდილ იქნება დაბა ცხინვალში ზღუდრის ეკლესიაში, პანაშვიდი განსვენებულის საფლავზე. (ფ. 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ალექსანდრა ნიკოლოზის ასული, ძმა როსტომ ჩიკოიძე, ძმისწულები: გიორგი და რძალი, ოჯახობითურთ რძალი თინათინ ჩიკოიძისა, გაიანე მურვანოვისა შვილებითურთ, აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი პოლკ.

ზურაბ გიორგის ძე ჩიკოიძის

პანაშვიდი დღეს, დილის 12 ს, მიხაილოვის საავადმყოფოს ეკლესიაში. მიცვალებულს წაასვენებენ მიხეილის საავადმყოფოდან ს. მეჯვრისხევში ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, სადაც მოხდება დასაფლავება. (3399 1—1)

ღრმად დამწუხრებული სიძე ვარლამ ხუროძე და მეუღლე მისი ოლღა, შვილები: თინა, ადოლფი და ოთარი გლოვით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

გიორგი ნიკოლოზის ძე სადარეიშვილი

მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხაძის ეკლესიაში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

---

17 ოქტომბერს სად. მცხეთაში უცაბედათ გარდაიცვალა კაპიტანი

გიორგი ნიკოლოზის ძე სადარეიშვილი

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მეუღლე მარიამი, პატარა ვაჟი პეტიკო, ძმა ალექსანდრე, დები: ოლღა და ანიჩკა, დედა ნატალია რძლები: ოლიმპიადა და მარიამი, ძმისშვილები: პარასკევა, გრიგოლი, და ილია. მიცვალებულს წაასვენებენ ქ. ხონში ქარჩხაძის ეკლესიაში. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (ნ.)

კვირას 24 ოქტომბერს ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი იწვევს

❁ სამაზრო კომიტეტის სხდომას ❁

განსახილველია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან. 2) პრეზიდიუმის მოხსენება. 3) ცეკას მოხსენება. 4) ორგანიზაციული მუშაობა მაზრაში. 5) კულტურული მუშაობა პარტიაში. 6) საწევრო გადასახადი. 7) მომავალი არჩევნების სამზადისი. 8) გარე უბნის თემის საკითხი. 9) მიმდინარე საკითხები. ყველა წევრები ვალდებულია აუცილებლათ დაესწროს. კრება გაიხსნება დილის 10 საათზე. სამაზრო კომიტეტის ბინაზე („ერთობის“ რედაქციის შენობა. მეოთხე სართული). კომიტეტის პრეზიდიუმი.

(ნ 5—2)

სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთაველის პრ. № 21, ტელ. 8—07)

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, ოქტომბრის 21-ს

„ს ი ც რ უ ე“

ვინნიჩენკოსი.

შაბათს, ოქტომბრის 23-ს

„ოიდიპოს მეფე“

სოფოკლესი.

კვირას, ოქტომბრის 24-ს

საღამოთი, წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა მ უ შ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს

„გ უ შ ი ნ დ ე ლ ნ ი“

შალვა დადიანისა.

ბილეთები კასაში. დასაწყისი სრ. 8 ნახ. საათზე. (ნ. 2—1)

სახელმწ. თეატრი.

ოპერა.

20 ოქტომბერს

მარგალიტის მაძიებელნი

21 ოქტომბერს **მანონი.** 22 ოქტომბერს **მესამე ბალეტის საღამო,** მიხ. მორდკინისა. დასაწყისი სრულ $7\frac{1}{2}$ საათ. სად. ოპერის დირიჟორი ს. ი. ევთიხიშვილი. (ნ. 1—1)

თფილისის მაზრის ერობის გამგეობა

ამით აცხადებს რომ მას აქვს 3 თავისუფალი ვაკანსია საბეჭდავ მანქანაზე, რისთვისაც დანიშნულია პარასკევს 22 ოქტომბერს დილის 10 საათზე ერობის შენობაში მანქანაზე მომუშავეთა

შ ე ჯ ი ბ რ ე ბ ა

მიიღებიან სამსახურში კონკურსით. (3403—1—1)

თფილისის მთავრობის კომერციული

სასწავლებელი ამით აცხადებს, რომ გაერთიანებულ (ქართულ) მე-V მე-VI კლასებში არის თავისუფალი ადგილები მოწაფეთათვის, თხოვნების მიღება გრძელდება. სასწავლებლის მისამართი: ჩუღურეთი, 19 თებერვლის ქუჩა, № 2. (3287 7—5)

ჩვენ და ვრანგელი

სოჭის ფრონტის აჯანყებებში პირველათ დასვეს საკითხი ჩვენ მიერ მოსკოვის ხელშეკრულების ასრულების. საქართველომ, მიუხედავათ იმისა, რომ რუსეთი სისტემატიურათ არღვევს თვითონ და თავის მოკავშირე აზერბეიჯანის საშუალებით ყოველ პირობას, მაინც არ მოისურვა კონტრაგენტების ცუდი ჩვეულების აყოლა და თავის მხრივ პირობას მტკიცეთ დაადგა. ვრანგელის მომხრე ყაზახები მან საზღვარზე განაიარაღა და საბჭოთა წარმომადგენელს გადაუცხადა მათი შემოსვლის ამბავი. ჩვენ თვითონვე ვიცოდით, რომ ეს ვრანგელს არ მოეწონებოდა... მაგრამ ის, რაც მოხდა 17 ამ თვეს, მაინც მოულოდნელი იყო. ვრანგელის საზღვაო ძალები მოადგნენ ჩვენს ნაპირებს და იარაღით გაანთავისუფლეს ტყვე—ყაზახების რაზმი; ჩვენ დაგვიჭირეს და მოგვიკლეს ჯარის კაცები და აფიცრები.

მთელ ქართველ დემოკრატიას აღაშფოთებს ასეთი თავხედური შემოსევა, ასეთი თავდასხმა. ყაზახების რაზმმა, რომელიც შემოიჭრა ჩვენს საზღვრებში, იცოდა, გაფრთხილება მიეცა, რომ ისინი საბჭოთა რუსეთს გადაეცემიან. მაშასადამე, საქართველოს იგინი მოტყუებით არ შემოუყვანია, და თუ მაინც შემოვიდნენ, ცხადია, ამ პირობასაც უნდა შერიგებოდნენ ესე იგი გადაცემაზე დათანხმებულიყვნენ. მაგრამ მოხდა სრულიად სხვა. ვრანგელის ჯარი თავს დაესხა ჩვენს სანაპიროებს და მოულოდნელათ, ქურდულათ გაიტაცა ეს ტყვეები. ამით ვრანგელმა შელახა უფლება საქართველოსი, დაარღვია მისი სუვერენობა; ერთხელ კიდევ გამოიჩინა ის მტრული განწყობილება, რომელიც მას მუდამ ასულდგმულებდა საქართველოს მიმართ.

ვრანგელისაგან ჩვენ უკეთესს არც მოველოდით. ბუნება მისი რეაქციონურია და დემოკრატიას, რასაკვირველია, ვერ შეურიგდება. დღეები მისი ბატონობისა დათვლილია და იგი ამიტომ არაფერს აღარ ერიდება.

მაგრამ აქ იბადება მეორე საკითხიც: შავ ზღვაზე ბატონობს ევროპის ფლოტი. ისინი „იცავენ“ შავი ზღვის ნაპირებს. ნუ თუ დავიჯეროთ, რომ ეს თავდასხმა მათ სადარაჯოებს გამოეპარათ?

საქართველოს არ ყავს ფლოტი ზღვაზე, რომ შეეძლოს ზღვის მეკობრეთაგან თავის დაცვა. და ეხლა თუ ამ გარემოებით ისარგებლა ვრანგელის ბანდებმა, ეს არა იმ ძალის უნებურათ, რომელიც შავ ზღვას დარაჯობს.

საქართველოს დემოკრატიამ უნდა კარგად დაიხსომოს ეს და შესაფერათ დააფასოს.

მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი გარემოება.

ვრანგელის თავდამსხმელ ჯარის ნაწილებთან შეტაკებაში უკვე დაიღვარა საქართველოს საუკეთესო შვილთა სისხლი. ეს სისხლი ამტკიცებს, რომ საქართველო რაინდულათ იცავს მოსკოვის ხელშეკრულების ოდიოზურ მუხლებსაც კი. საბჭოთა რუსეთიც მოვალეა ასევე პირნათლად შეასრულოს ყველა მისი ვალდებულება, ამ ხელშეკრულებით მათზე დადებული.

„ახალი სხივი“

I

ცალკე თუ ერთად?

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების თათბირი ჯერ არ გათავებულა. მაგრამ წინდაწინვე შეიძლება ითქვას, რომ საერთო ხაზი ეკონომიური პოლიტიკის შეუცვლელი დარჩება. არც აღძრულა თათბირზე კითხვა ამ ხაზის შეცვლის შესახებ, თუმცა ყველა ხედავს, რომ ჩვენს წრეებში დიდი უთანხმოებაა. არსებობს ოპოზიცია, რომელსაც აქვს თავისი ორგანო „ახალი სხივი“. არც მას წარმომადგენლებს დაუპირდაპირებიათ თავისი ძირითადი პრინციპები პარტიის ასეთივე პრინციპებისათვის „ახ. სხივი“, როგორც ვიცით, ებრძვის გარეგნულ მოვლენებს, ებრძვის ყველაფერს, რაც მისი აზრით სწორი საერთო ხაზისაგან გადახვევის მომასწავებელია.

ჩვენ ვეუბნებოდით თავიდანვე, რომ ასეთი ოპოზიციამ არ მოითხოვს თითქმის ცალკე ჯგუფათ გამოყოფას და ცალკე გაზეთის დაარსებას. ეს გასაგები და მიზანშეწონილი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როცა პარტიის ცენტრალური ორგანოები მოერიდებოდენ კრიტიკას, როცა ისინი ყოველ თავის ნაკლოვანებას ხელს დააფარებდენ. არ მომხდარა არაფერი ამისი მსგავსი. პირიქით, „ახ. სხივმა“ კარგათ იცის პარტიული ყრილობის დადგენილება, რომელიც აკანონებს და უდაოთ ხდის კრიტიკული აზროვნების თავისუფლებას.

„ახალმა სხივმა“ მაინც განაგრძო ცალკე არსებობა, თუმცა პირველ ნომრებში არ მოთავსებულა ისეთი წერილი, რომლის მოთავსებაც შეუძლებელი ყოფილიყოს „ერთობის“ ან „ბორბის“ ფურცლებზე. ის გაიმიჯნა ჩვენი გაზეთებისაგან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ფაქტიურათ დაუახლოვდა გარეშე ოპოზიციის გაზეთებს. „ახ. სხივს“ კეთილ განზრახვებში არაფას ჩვენგანს არ ეპარება ეჭვი. ის პარტიის განვითარებისთვის ზრუნავს, ემსახურება იმავე მიზანს, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ნამდვილათ კი მისი ნაკეთები ხელს უწყობს ჩვენს მოწინააღმდეგე ძალებს, მისი ოპოზიციით იკვებება „სახ. საქმის“, „საქართველოს“, „კომუნისტის“ და სხვა ოპოზიცია.

ეს არ მოხდებოდა, რომ „ახალი სხივის“ ჯგუფი ჩამდგარიყო პარტიულ ფარგლებში და აქ ეწარმოებია თავისი ბრძოლა. ნუ თუ არ შეიძლებოდა ამა თუ იმ ნაკლის ჩვენება, მაგალითად, ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე, ან ცენტრალურ ორგანოებში? არ კმაროდა, რა თქმა უნდა, მარტო ჩვენება, მარტო მითითება. საჭირო იქნებოდა საერთო ღონისძიებით სწორი გზის გაკვლევა და უკიდურესი ნაკლის გამოსწორება. მაშინ ჩვენც და ჩვენი ოპოზიციაც ერთმანეთთან უფრო ახლოს ვიდგებოდით, ვიდრე რომელიმე ჩვენგანი გარეშე წრეებთან.

ახლა კი რუსული ანდაზის არ იყოს: „Чѣмъ дальше въ лѣсъ, тѣмъ больше дровъ“,—რამდენათაც „ახალი სხივი“ განაგრძობს პარტიისაგან დამოუკიდებლობას, იმდენათ ის კარგავს პოლიტიკურ და ზნეობრივ კავშირს პარტიასთან. ზნეობ ივათ დაუშვებელია ამ გაზეთის კილო. „მატყუარა“... „სტყუის“ *) და სხვა ამისთანა სიტყვები... არ გვიკვირს, როცა გვეყურება ეს სხვებისგან, მაგრამ, თუ, ვთქვათ, მე ასე ვუმასპინძლდები ჩემივე პარტიის წევრს, მაშინ, რასაკვირველია, ვეღარ უნდა ვგრძნობდე იმ შინაგან მთლიანობას, რომელსაც ქმნის ერთი პარტიული ოჯახი.

დაუშვებელია ზნეობრივათ და პოლიტიკურათაც ისეთი კილო, როგორიც ეტყობა „ახ. სხივს“ შემდეგ სიტყვებს: „ეი მომარაგების სამინისტრო. ეს დაწესებულება განა უწყება არის? არა, ეს არის სავაჭრო სახლი, მას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სახელმწიფო დაწესებულებასთან, სახელმწიფომ არ იცის არც მისი შტატები, არც იქაური წესი და ჩვეულებები. ეს დაწესებულება არავის ანგარიშს არ უწევს. მას აქვს თავისი ხაზინაც და თავის შემოსავალიც და გასავალიც. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ექსპედიციის ხაზულებით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ამ „უწყებას“ შეიძლება ათი მილიონი ქონდეს ტომრებში, მაგრამ ეს მისია, მას ხელს ვერავინ ახლებს. მას თავისი მოხელეები ყავს, რომლებიც გარდა ორ და სამკეც ჯამაგირებისა, კიდევ პროცენტებს იღებენ და ამგვარათ მილიონებს აგროვებენ გასამრჯელოთ“ **).

ამნაირი კილო გადაჭარბებული იქნებოდა „სახ. საქმისთვის“-საც. ეს უფრო შეფერებული გამოდგებოდა „საქართველოსთვის“, ან „კომუნისტისთვის“. ჩვენ შეგვიძლია მივუთითოთ არა ერთ და ორ ნაკლს ამა თუ იმ სამინისტროსას. მაგრამ ვერასოდეს ვერ დავივიწყებთ, რომ სამინისტროს სათავეში და მის პასუხსაგებ ადგილებზე დგანან ჩვენივე არჩეულები, ჩვენივე პარტიის წარმომადგენლები. ვერასოდეს ვერ შევძლებთ ასე დაუსაბუთებლათ თითქმის სისხლის სამართალში მისაცემ ბრალდებების წამოყენებას. ეს უფრო შეშვენის გარეშე და არა შინაურ ოპოზიციას.

პოლიტიკურათ წარმოუდგენელია, რომ შინაური ოპოზიციის ორგანოში იწერებოდეს შემდეგი:—..„მთავრობამ შესაძლებლობის ფარგლებშიაც კი ვერ გაბოიჩინა უნარი. პირველ ყოვლისა მთავრობას ეკონომიური პოლიტიკის სფეროში აკლია სისტემა, წინდაწინ მოსაზრებული და შესწავლილი გეგმა მოქმედებისა, და ეს უგეგმობა ისე შორს მიდის, რომ ხშირათ მთავრობა თვალ დახუჭული მოქმედობს, ის თითქოს განზრახ გაურბის გეგმას, მოსაზრებას, მას თითქოს ეშინია არსებული მდგომარეობის აწონ დაწონვის და დაფიქრებისა“...***)

ესეც ვერ დაიწერებოდა არა მარტო „ერთობის“ ფურცლებზე, ასეთი კრიტიკა არ არის შესაძლებელი ერთი პარტიის წრეებში. ამაზე მეტს ვეღარ ამოვიკითხავდით ვეღარც „საქართველოში“. ის, როგორც ვიცით, ჩვენ გვიწუნებს მთელ გეგმას, ისიც უსისტემობას გვწამებს. მაგრამ ეს გაზეთი ანთან ბანსაც ამბობს, უარყოფითი მხარეების აღმოჩენას არ ჯერდება, დადებით პროგრამასაც იძლევა თავისებურათ.

„ახ. სხივმა“ კი ამისთანა პროგრამა აქამდის ვერ დაგვანახვა. შეეძლო დაენახვებია პარტიულ თათბირზე. მაგრამ, პირიქით, თავიდან ბოლომდის მიემხრო მოხსენებებში წამოყენებულ გეგმას. თათბირის მეორე დღესვე უკანასკნელ ნომერში ის უკვე აცხადებს,—„ჩვენი ეკონომიური და პოლიტიკური კურსი უტყუარია, დროის და მდგომარეობის შესაფერისია“. ****) აქ გაზეთი ვეღარ ხედავს უსისტემობას, უგეგმობას, ხედავს მხოლოდ, რომ კარგი გეგმის ცხოვრებაში გატარება არ ხერხდება.

ამ საშინელი წინააღმდეგობის ასაცილებლათ ვერ გამართლდება პარტიული ოპოზიციის ცალკე არსებობა. „ახ. სხივს“ ან აქვს თავისი გზა თათბირზე მიღებული გეგმის გასატარებლათ, ან არ აქვს. ან უთანხმდება მისი პრაქტიკული ხაზი მთელი პარტიის ხაზს, ან ვერ უთანხმდება. ერთ შემთხვევაში ის უნდა დაუბრუნდეს პარტიულ ფარგლებს, მეორე შემთხვევაში ვერ დაუბრუნდება. ფორმალურათ ის იქნება მაშინ პარტია პარტიაში, არსებითათ კი ახალი პარტია ძველის წინააღმდეგ.

ჩვენ არ შევუშინდებით არც დაცალკევებას, თუ ამას მოითხოვს აუცილებლობა, დღევანდელი განვითარება. და თუ არ მოითხოვს, მაშინ ხელოვნურ გათიშვას აღარ უნდა მიეცეს ადგილი. ჯერ კი „ახ. სხივს“ ისეთივე არევდარევა შეაქვს ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში, როგორც, მისი აზრით, სამინისტროების შეცდარ ნაბიჯებს ეკონომიურ პოლიტიკაში.

ხ. დევდარიანი.

---

*) „ახ. სხივი“, № 25.

**) „ახ. სხივი“ № 22.

***) „ახ. სხივი“ № 24.

****) „ახ. სხივი“, № 25.

პ რ ე ს ა

„აზატამარტი“ (230 №-ში) ეხება იმ საკითხს, თუ რა ორიენტაციის უნდა დაადგეს სომხეთის მთავრობა, ერთის მხრივ თურქულ-ბოლშევიკური ძალა მოითხოვს სომხეთისაგან მათ მხარეზე გადასვლას. ამავე დროს ევროპული იმპერიალისტების კავშირი თავისაკენ ეზიდება სომხეთს და სურს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრიოს. ამის შესახებ გაზეთი შემდეგს სწერს:

„აზატამარტი“ იდგა მუდამ იმ მართალი, ნათელი და სასარგებლო თვალსაზრისზე, რომ დემოკრატიას საერთოთ და სომხეთის მშრომელ ხალხს კერძოთ უნდა ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ ერთი ორიენტაცია, ერთი პოლიტიკური ხაზი. ეს არის საკუთარი ორიენტაცია, საკუთარი ინტერესების ხაზი, რომელიც გამომდინარეობს მისი მსოფლიო რევოლუციონურ და შრომის განთავისუფლების პერსპექტივიდან. ეს არის რევოლუციონური, პროგრესიული და მტკიცე ორიენტაცია. მარტოდ ეს გადაარჩენს ყველანაირ ავანტურებისაგან, ყველანაირ შემთხვევებიდან და მის რეალურ ძლების ვარჯიშობით მიღწეულ იქნება საბოლოო შრომის განთავისუფლება და სოციალიზმის გამარჯვება. სომეხ მშრომელ ხალხს არ შეუძლია სხვა გზას დაადგეს გარდა ზემოდ ნაჩვენებ პოლიტიკურ ხაზისა. თურქულ-ბოლშევიკური კონტრ-რევოლუციონური და აღმოსავლეთის მშრომელ ხალხისთვის დამღუპველი ორიენტაცია—ფაქტიურად, დაღუპვის და დაქსაქსვის გზაზე წაიყვანს და ამას სომხეთის მშრომელი ხალხი, როგორც რევოლუციონური ელემენტი, ცხადია, ვერ მოითმენს. მეორე მხრივ, ევროპული იმპერიალიზმი, მძარცველი და მყვლეფელი თავის გაუმაძღარ მისწრაფებებში, არა თუ მარტო ვერ შესძლებს დაიცვას სომხეთის მშრომელთა განთავისუფლება და დამოუკიდებლობა, არამედ, პირიქით, თურქულ-ბოლშევიკებთან ერთათ თანასწორი დამღუპველი და დამქსაქსავი ძალაა სომხეთის დემოკრატიისთვის და მტერია ყველა თითეულ რევოლუციონურ ხალხის თვითგამორკვევის იდეისა.

დღევანდელ კრიტიკულ დღეებში სომხეთის მშრომელმა ხალხმა უნდა გაითვალისწინოს წარსული შეცდომები და მომენტს სერიოზულათ შეხვდეს. არც ევროპიული მძარცველი იმპერიალიზმი და არც თურქულ-ბოლშევიკური ფარული კონტრ-რევოლუცია არ მოუტანენ სომხეთს თავისუფლებას, მათ მოაქვთ მხოლოდ მონობა, დაქსაქსვა და დაღუპვა. ფრონტის და ზურგის მჭიდროთ მოწყობით და სილი თვალსაზრისით განსვენება მომავალ მოვლენებისა იხსნის სომხეთის მშრომელ ხალხს, რომელიც უნდა მიეგებოს ხვალინდელ დღეს მტკიცე დარწმუნებით თავის გაკეთებულ საქმის სიმართლის საბოლოო გამარჯვებაში.

საკუთარ ექვივალენტის და საკუთარ ძალების ორიენტაციაა,—აი გზა სომხეთის მშრომელ ხალხის მოქმედებისა.

საბჭოთა რუსეთში

„გადამჭრელი ზომები“. კავკავის გაზ. „კომუნისტ“-ში შემდეგი ცნობაა მოთავსებული: თითქმის ყოველ დღე იხილავს საკითხს „ასენიზაციის“ (სიბინძურის გადაზიდვა) შესახებ „კომუნხოზის“ კოლეგია. ამ მხრივ მდგომარეობა კრიტიკულია, და ეს მაშინ, როდესაც შესაძლებელია გავრცელდეს ეპიდემია, რომელიც საფრთხეს უმზადებს მთელ ქალაქს. საჭიროა გადამჭრელი ზომების მიღება სანიტარულ პირობების გასაუმჯობესებლათ. მთელი რიგი საბჭოთა დაწესებულებებისა უარს ამბობენ, რათა დახმარება აღმოუჩინონ გადასაზიდ საშუალებათა მოწყობაში. „კომუნხოზის“ კოლეგიამ გადაწყვიტა, რომ ყველაზე

დღეს

ოქტომბრის პირველ რიცხვებში ევგ. გეგეჭკორი მიუღია საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, ორივე აუდიენციას ქონია საქართველოსადმი დიდი სიმპატიის და კეთილგანწყობილების ხასიათი.

გენერალ ვრანგელის მუხანათურ თავდასხმის და შავი ზღვის ნაპირებზე ხროლის საპასუხოთ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მთავრობის დადგენილების თანახმად აპატიმრებენ იმ მოქალაქეთ, რომლებიც გენ. ვრანგელის მიერ დაჭერილ ტერიტორიიდან ჩამოვიდნენ.

უფრო რადიკალურ ზომათ სიბინძურის გადასაზიდათ შეიძლება ჩაითვალოს კერძო მესაკუთრეთა ტრანსპორტისა და ცხენების რეკვიზიცია. ტეხნიკურ „პოდოტდელს" დევალა მოახდინოს აღნიშნულ რეკვიზიციის გატარება. ამით შესაძლებელი იქნება, კოლეგიის აზრით, ქალაქიდან გაზიდული იქნეს უხვათ დაგროვილი სიბინძურე. („კომუნისტი", 24 სექტ.).

შეშის დამზადება. თერგის ოლქის კომუნალურ მეურნეობის კოლლეგიამ იქონია მსჯელობა იმის შესახებ, თუ როგორ მოაწყონ მომავალ ზამთრისათვის შეშის დამზადება და დაადგინა: წინადადება მიეცეს საბინაო განყოფილებას მოახდინოს რეკვიზიცია 200 ცულისა და 50 ხერხის, რომლებიც გადაეცემა სათანადო ორგანოს შეშის დასამზადებლათ. მოქალაქეთ უნდა აუხსნან, რომ მუშაობის გათავების შემდეგ იარაღი ისევ პატრონებს დაუბრუნდებათ; მუშაობა 3 თვე გაგრძელდება. შეშა გაცილებით უფრო იაფი იქნება, ვინემ ბაზარზე, სადაც ურემი შეშა 12 ათასი მანეთი ღირს („კომუნ.", № 141).

ბაქოს ნავთი რუსეთში. 16 სექტემბრამდე ბაქოდან ზღვით ასტრახანში გაუტანიათ 5,511,000 ფუთი წმინდა ნავთი და სხვა დაუწმენდავი ნავთეულობა 106,362,000 ფუთი. იმავე დროს განმავლობაში ვოლგით ასტრახანიდან გაიგზავნა 12,737,700 ფუთი ნავთი და 76,150,610 ფუთი ნავთეულობა. („კომ." № 139).

ბრძოლა შიმშილობის წინააღმდეგ. კავკავის „კომუნისტში" შემდეგი სწერია: საერთო ძალღონით ჩვენ შევძლებთ დავამარცხოთ შიმშილი. ფრონტზე გამარჯვება და თავისუფლების შენარჩუნება დამოკიდებულია ჩვენი ეკონომიური მდგომარეობაზე. შეგნებული გლეხი თვითონ მოიტანს პურს. თუ არ მოიტანა, მაშინ ჩვენ პროპაგანდით უნდა დავარწმუნოთ იგი პურის მოცემის აუცილებლობაში. მაშინ კარგ ნიადაგზე მოეწყობა პურის განაწილების საქმე... მოვიკრიბოთ მთელი ძალები, მოვახდინოთ შრომის მობილიზაცია და ჩვენ ვსძლევთ უდიდეს მტერს.

ოდესაში. რუმინიის გაზეთების გადმოცემით მიმდინარე წლის აგვისტოში და სექტემბერში ოდესაში ალაგი ჰქონდა ბევრ ექსცესებს ბოლშევიკების მხრივ. დახვრეტილთა რიცხვმა ამ უკანასკნელ ორ თვის განმავლობაში უმაღლეს წერტილს მიაღწია. ეს იმით აიხსნება, რომ დახვრეტის საქმეს განაგებს არა მარტო ოდესის „ჩეკა", არამედ ოდესაში არსებული მოსკოვის „ჩრეზვ. ჩაიკის" განყოფილებაც. ოდესის „ჩეკას" თავმჯდომარეთ ერთ დროს იყო სადისტი კალენიჩენკო (საჯაია); მისი მოქმედება თვით კომუნისტებსაც შიშის ზარსა ჰგვრიდა. სიმკაცრის გამო იგი შემდეგ გადაყენებულ იქნა. საზოგადოთ, ადგილობრივი კომუნისტები ოდესაში არავითარ როლს არ თამაშობენ; დაწესებულებებში უმრავლესობას ცენტრიდან დანიშნულები შეადგენენ. „რევკომშიაც" უმრავლესობა მოსკოველებია, საცხოვრებელი მინიმუმი ოდესაში ჯერ კიდევ ივლისში 30—50 ათასი მან. იყო. სურსათ-სანოვაგე ქალაქში არსაიდან არ შემოდის; ახლო მახლო მიდამოებში ყველაფერი განადგურებულია, შენობები დანგრეული. მიმოსვლა ოდესა-კიევს შორის არ არის, ვინაიდან ხშირათ ხდება თავდასხმა უკრაინის აჯანყებულთა მხრივ, რომლებსაც ვიღაც მორალევიჩი ხელმძღვანელობს. ოდესიდან გენუაში გაიგზავნა ხორბლით დატვირთული ორთქლმავალი „პეტრე კოლბი". გემი დიდის ცერემონიალით გააცილეს, ორკესტრი „ინტერნაციონალს" ასრულებდა; და ეს მაშინ, როცა ყველამ იცოდა, რომ ეს ხორბალი იძულებით ჩამოართვეს გლეხებს.

დეზერტირობასთან ბრძოლის მეთოდის შესახებ. ცენტრმა გადასწყვიტა, რომ შრომის დეზერტირობის წინააღმდეგ მოეწყოს საგანგებო ორგანო. განზრახულია სამხედრო დეზერტირობის წინააღმდეგ მებრძოლ კომიტეტთან საგანგებო განყოფილებების დაარსება, რომელშიაც შევლენ დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენლები. პირველად ყოვლისა ახალმა ორგანომ უნდა გაითვალისწინოს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ შრომის ფრონტზე დეზერტირობას. (გამოტოვებულია) საჭირო იქნება პროფ. კავშირების დახმარება, რათა მათი და შრომის კომიტეტების საშვალებით მოეწყოს თვალყურის დევნება, თუ ვინ ცხადდება ნამდვილად მუშაობაზე, ვინ ასრულებს სამუშაოს, ვინ სტოვებს სამსახურს, ან მუშაობას თავის ნებით და სხვა. ახალი ორგანოს ადმინისტრატიულ ოპერატიულ მოქმედებას უნდა მიეკუთვნოს: მოწმობების გასინჯვა, იმ პირთა დატყვევება, რომლებიც შრომის ფრონტის დეზერტირები აღმოჩნდებიან, მათი სამართალში მიცემა, სამართალში მიცემა იმ პირთა, რომლებიც ხელს უწყობენ, ფარავენ შრომის დეზერტირებს. დეზერტირობის წინააღმდეგ მიმართული აგიტაცია ფართოდ უნდა მოეწყოს. ეს უნდა მოეწყოს ფაბრიკებსა და ქარხნებში. ამ მიზნისათვის უნდა იქნენ გამოყენებულნი უფრო შეგნებული მუშები. ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეიქნეს მასაში, თითქოს არც ერთი შრომის ფრონტის დეზერტირი არ დარჩება დაუსჯელი. საერთო ძალ-ღონით, საერთო შეტევით შინაურ მტრის წინააღმდეგ ჩვენ დავძლევთ არევ დარევას. (სდს.).

განახლებული ქართული დრამა

ქართულ დრამატიულ ხელოვნებას ამიერიდან თვით სახელმწიფო უდგება სათავეში. წინასწარი მზადება სეზონისათვის თითქმის სამი თვის განმავლობაში სწარმოებდა. ქართული დრამისათვის შეძინეს თეატრი, შეადგინეს დასი, რეჟისორთა კოლეგია, შეადგინეს რეპერტუარი, რომლის მომზადებაზე დასი ხანგრძლივს მუშაობას ეწეოდა. 15 ამ თვისას კიდეც გაიხსნა სეზონი.

ქართული დრამის მუშაობა კარგი ნიშნებით იწყება. ვინც თვალს გადაავლებს სანიმუშო რეპერტუარს, რომელიც უკვე გამოცხადებულია, მიხვდება, რომ მომავალი დრამის ხელმძღვანელები ორიგ აზრით იყვნენ გამსჭვალულნი: 1) რომ ქართულ დრამას რაც შეიძლება მეტი ეროვნული ელფერი მიეცეს; 2) რომ მას სათავეში დაედვას კლასიკური დრამა. ერთი აზრიც და მეორეც ყოველის თანაგრძნობის ღირსია.

სეზონი ეროვნული პიესით გაიხსნა (შალვა დადიანის „გუშინდელნი"). მეორე წარმოდგენა ძველი კლასიკური რეპერტუარიდან იყო აღებული: 17 ოქტომბერს დაიდგა სოფოკლეს გენიალური ტრაგედია „ოიდიპოს მეფე", რომელიც გამეორებით იქნა დადგმული. უკვე გაიმეორეს. ამ ტრაგედიის არჩევას ჩვენ საუკეთესო აზრათ ვთვლით. ტრაგედია ძველ საბერძნეთში შეიქმნა და სწორედ სოფოკლეს კალმის ქვეშ მიაღწია მან სრულყოფას და უმწვერვალეს წერტილს.

„ოიდიპოს მეფე", დასრულებული, უნაკლო და ყოველმხრივ უმწიკვლო დრამატიული ნაწარმოებია. და მის მსგავსს ხელოვნებაში ვერას ნახავთ, გარდა იმავ საბერძნეთის ფიდიასის მიერ მარმარილოდან გამოქანდაკებული ღმერთების. ამ ნაწარმოებში ყველაფერი ისე ნათელი და სპეტაკია, რომ მისი სცენაზე დადგმა სავალდებულო უნდა იყოს ყოველი სერიოზული დასისათვის.

სოფოკლეს ტრაგედიის დადგმისათვის აუცილებელია, რომ მისი **თარგმანი** იყოს ცოტათ თუ ბევრათ მისაღები. გ. ქ. ანდრონიკაშვილის თარგმანი ურიგო არ არის. სათანადო ღირსების თარგმანი ჩვენთვის მიუღწეველია: ამისათვის საჭიროა მეცნიერული გამოკვლევა-შესწავლა ტრაგედიის ყოველი სიტყვისა, მისი ტექსტისა. ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ მხოლოდ ერთი-ორი შეცდომა, რომელიც უფრო სახელების გადმოცემას შეეხება. სახელი „ოიდიპოსი" (და არა „ედიპოსი") გვიჩვენებს, რომ მთარგმნელს სდომებია დაიცვას ძველი ბერძნული ენის ის გამოთქმა, რომელსაც „ერაზმულს" უწოდებენ, და არა ისა, რომელსაც ჰქვიან „რეიხლინური" (ერაზმი და რეიხლინი მე-16 საუკუნის გერმანელი მეცნიერები იყვნენ, ღრმა მცოდნენი ძველი ენებისა). მაგრამ, სამწუხაროდ, სხვა სახელების გადმოცემაში ერაზმის სისტემა არ არის დაცული (მაგ. „ფეძოს-აპოლლო" და სხვ.).

რაკი დეფექტების ჩვენებით დავიწყეთ ჩვენი შენიშვნა, აღვნიშნავთ კიდევ რამდენიმე წვრილმანს.

ჩვენის აზრით, შეცდომათ უნდა ჩაითვალოს მთელი სცენა მსხვერპლის შეწირვისა ღმერთის სამსხვერპლოზე ტრაგედიის დასაწყისში. რეჟისორს, როგორც ჩანს, სურვილი ჰქონია მაყურებლებისათვის ეჩვენებინა როგორ ლოცულობდენ ძველი ბერძნები. ამ მიზნით 10—15 წამის განმავლობაში გრძელდება სრულიად უსიტყვო სცენა: ბერძენი—ქალები სათითაოდ და რიგ-რიგათ მოდიან სამსხვერპლოსთან და ყვავილებს სწირავენ ღმერთს. პირველ ქალების მისვლაზე მაყურებელი სულგანაბული უცქერის, რადგან ეს მისთვის ახალი და საინტერესოა, მაგრამ როდესაც ერთს და იმავეს იმეორებს მეოთხე, მეხუთე, მერვე, მეცხრე მლოცველი, ეს ყურადღებას ღალავს და ესთეტიურს სულიერ განწყობილებას აგრილებს. ამ სცენის საჭიროება მით უმეტეს არის სადავო, რომ რეჟისორი დარწმუნებით ვერ გვეტყვის, რომ მსხვერპლის შეწირვა ძველ საბერძნეთში სწორეთ იმ წესზე ხდებოდა, როგორც მან აჩვენა მაყურებლებს და რომ მის მიერ დადგმული სცენა რეალურ ცხოვრებიდან არის აღებული და მოგონილი არ არის. ამნაირ სცენის წარმოდგენა შესაძლებელია, მაგრამ იგი უნდა იყოს სულ მოკლე, ძველი ცხოვრების მხოლოდ რამდენიმე ხაზით აღბეჭდილი.

ბევრი რამ სადავოა ძველი ბერძნების სასახლის მოწყობილობაში, იმ ხუროთმოძღვრულ სტილში, რომელზედაც იგი აგებულია, სამსხვერპლოს მოწყობაში და სხვა. რეჟისორისათვის საჭიროა დიდი მუშაობა და სამეცნიერო შრომების გაცნობა ყველა ამის შესასწავლად. მაგრამ საერთოდ მაინც უნდა ითქვას, რომ სცენის გარეგან მოწყობილობაში დიდი მეცადინეობა და გემოვნება არის შეტანილი. დარწმუნებული ვართ, რომ „ოიდიპოს მეფე" არა ერთხელ და ორჯელ დაიდგმის ჩვენს სცენაზე და რეჟისორიც არა ერთს და ორს შესწორებას და გაუმჯობესებას შეიტანს მის დადგმაში.

თვით ტრაგედიის ასრულება ქართული სცენისათვის უნდა ჩაითვალოს სულ ახალ ნაბიჯათ, და ქართული ხელოვნებისათვის ახალ მიღწევად. ქართულ სცენაზე არ გვინახავს ისეთი საუცხოვო ანსამბლი, რომლითაც შესრულებულია ორივე პირველად დადგმული პიესა. ქართულ არტისტებისათვის უმაგალითოა ის კეთილსინდისიერება, რომელიც მათ გამოიჩინეს როლების შესწავლაში. როლები ყველას მშვენივრად აქვთ გაზეპირებული და ყოველს არტისტს შეგნებულათ გათვალისწინებული აქვს ის მხატვრული მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს მან თავის როლის ასრულებით. მთელი დასი ჰარმონიულად შეთანხმებულია და მისი თამაშობა სტოვებს ისეთს შთაბეჭდილებას, თითქოს ორკესტრი ასრულებდეს ერთს მუსიკალურ ნაწარმოებს.

„ოიდიპოს მეფეში" დახატულია უსაშინელესი ტრაგედია, რომელმაც თავზარდამცემი შთაბეჭდილება უნდა დასტოვოს მაყურებელზე. სრულიად უდანაშაულო, ყველაფრით შემკულს (ზნეობრივადაც, გონებრივათაც), ყოველმხრით სვებედნიერს კაცს ბედისწერა თავს ატეხს იმისთანა მეხს, რომ იგი ერთი დღის განმავლობაში, უბედნიერესი, არსებითად იქცევა ყოვლად უბედურ და საბრალო ადამიანათ. ეს უბედურება თავს ატყდება მას სრულიად უბრალოთ, ზნეობრივათ იგი სრულიად მართალი და უცოდველია.

ასე ინება უპირო და უგულო ღმერთმა „**მოირამ**" (ბედისწერამ), რომლის ნებასაც თვით ღმერთებიც ვერსად გაექცევიან. ოიდიპოს მეფეს ჯერ კიდევ დაბადებამდის გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ იგი თავის ხელით მოკლავს მამას, ცოლად შეირთავს თავის მშობელ დედას, მისგან ეყოლება შვილები, რომლებსაც შავი ბედის მსახვრელი ხელი მუდამ უბედურების მორევში აბანავებს მოდგმიდან მოდგმამდე. ტრაგედიაში სწორეთ ის წამია აღბეჭდილი, როდესაც პირმშვენი, ყოვლად მოწყალე, ხალხისათვის საყვარელი ოიდიპოსი ტყუბილობს თავის უბედურებას, მის თვალწინ იშლება ის ჯოჯოხეთური მოხერხება, რომლითაც ულმობელს ღმერთს—„მოირას"—მოუწყვია მისთვის ეს უბედურება.

ზუმბერაზული ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული არტისტი, რომ სათანადოთ გადასცეს მაყურებლებს ეს გადასვლა უმაღლეს ბედნიერებიდან უსაშინელეს უბედურებამდე, და მასთან ერთად ამ გადასვლაში დაიცვას ის ესთეტიური ზომიერება, რომელიც ძველი ბერძნისათვის არსებითი მოთხოვნა იყო და რომელიც მას არ სტოვებდა არც დიდი ბედნიერების, არც დიდი უბედურების დროს. სოფოკლეს ტრაგედიაში გამოხატული საშინელება, რომ წარმოადგინოს სრული რეალიზმით, იმ სახით, როგორც მას განიცდიდა **ჩვენი დროის** კაცი, ტრაგედიის სიუჟეტი სრულებით არ გამოდგებოდა ხელოვნური ნაწარმოებისთვის: განა შეიძლება სცენაზე გამოყვანა ყოვლისავე იმ საშინელებისა, რაც ცხოვრებაში ხდება? მაგრამ „ოიდიპოს მეფის" სცენაზე დადგმას და ამ დადგმისაგან ესთეტიური შთაბეჭდილების მიღებას შესაძლებლად ხდის ერთი გარემოება: **მთელი მსოფლმხედველობა** ძველი ბერძნისა, რომელიც კარგად ხედავდა ოიდიპოსის ზნეობრივს უბრალოებას და მაზე თავდატეხილი უბედურების დაუმსახურებლობას მის მიერ. ძველი ბერძენი ემორჩილებოდა გარდუვალს ბედისწერას, იგი თავს ხრიდა მის სიმძლავრის წინაშე, მაგრამ მისი ძალა აგონდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც უბედურება დაატყდებოდა ვისმე, და სხვა დროს კი იგი იყო მოცინარი, მხიარული შვილი იმ ღმერთებისა, რომლებიც მას ბედნიერებას ხშირად უგზავნიდენ, უბედურებას კი იშვიათად. უსაშინლესი, წარმოუდგენელი უბედურება მაყურებელთათვის შერბილებული უნდა იყოს თავის ხვედრისადმი მორჩილებით და ტრაგედიის გმირის სულიერი განცდის ეს ორი ნაკადი ისე უნდა იყოს შეთანხმებული, რომ პირველმა არ დაჩრდილოს მეორე და ამით ტრაგედია მაყურებელთათვის სატანჯველი არ გამოდგეს თავის თავზარით, და მეორემ ისე არ შეასუსტოს პირველი, რომ მაყურებლებმა ვერ იგრძნონ და ვერ გაიზიარონ ოიდიპოსის ტრაგედია.

ძნელია ამის მიღწევა არტისტის მიერ. ამ როლის საუკეთესო შემსრულებელი ფრანგი არტისტი მუნე-სიულლი რამდენათმე ერევა ამ როლს. ჩვენ არ გვინახავს სხვა არტისტი, რომელსაც ოიდიპოსის ტრაგედია ზედმიწევნით წარმოედგინოს. ამიტომ ჩვენ არ ვუსაყვედურებთ ბ. იმედაშვილს, თუ მან ეს როლი ვერ აიყვანა სათანადო სიმაღლეზე. პირიქით, მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გამოიჩინა დიდი ჩაკვირვება როლის მომზადებაში, დიდი კეთილსინდისიერება და გვარიანი ესთეტიური უნარი.

სხვა არტისტებზე ცალცალკე არას ვიტყვით, რადგან ოიდიპოსის გარდა (რომლის როლი განსაკუთრებულია) 17 ოქტომბრის წარმოდგენაში ცალკე მსახიობები ჩვენს წინაშე არ იყვნენ, ყველას თავისი ადგილი ეკავა, ყველა ერთად და შეთანხმებით ემსახურებოდა ქართული ახალი დრამის შექმნის საქმეს.

წარმოდგენები, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ ჰკრებენ [illegible] მაგრამ დარწმუნებული [illegible] ისეთი ხელოვნური უნარი, [illegible]ლიც ჩვენმა დასმა გამოიჩინა პირველი ორი პიესის ასრულების დროს, თანდათან მიიზიდავს საზოგადოებას. „ოიდიპოსის" და „გუშინდელების" თანა წარმოდგენების ნახვა ყოველი შეგნებული და ესთეტიურად განვითარებული მოქალაქისათვის სავალდებულოა.

დ. ნათაძე.

მიეშველეთ კარგ საქმეს!

შვიდი წელიწადია განათლების საზოგადოებამ დაარსა ხარფუხში ბერძენ სოლომონ კიპრიზოვისაგან შემოწირულ სახლში სამხატვრო—სახელოსნო სასწავლებელი და დღემდის მიიყვანა ეს სასწავლებელი იქამდის, რომ არა ერთხელ ხელსაქმეების გამოფენით გააცნო საზოგადოება მის სასარგებლო მნიშვნელობას. წრეულსაც აპირებს საფეიქრო და ძველი ხელსაქმეების უკეთესათ მოწყობას, მაგრამ სიძვირის გამო ისეთ გაჭირებაშია, რომ ლამის ამისთანა კარგ საქმეს ბოლო მოეღოს და სასწავლებელი დაიკეტოს. მასწავლებლები თავ განწირულათ მუშაობენ და ჩვენ პურის ფულის მიწოდებაც გვეძნელება, ვერ ვყიდულობთ სიძვირის გამო სასწავლებლისთვის ხელ-საქმის მასალას. ახლა ამ სასწავლებლის ბედ-იღბალი თვით გულშემატკივართა საზოგადოების ხელშია. ნუ დაიშურებთ თქვენ წვლილს, მოგვაწოდეთ, რომ ეს სასარგებლო საქმე არ ჩაიფუშოს, მიეშველეთ სამხატვრო სახელოსნო სასწავლებელს! ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, ყულაბებით იქნება ფულის მოგროვება. ვინც მოასწრებს შეიძლება შემოწირულობა თვით „ჯეჯილის" რედაქციაში ჩემი სახელობით გამოგზავნოს.

ანასტასია წერეთლისა.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

დენიკინის დაბრუნება.

გერმანული გაზეთები იუწყებიან: გენ. დენიკინი ბრუნდება ვრანგელთანო. ვეგანი ბოლშევიკების წინააღმდეგ შეტევის გეგმით ვრანგელის ფრონტზე გაემგზავრა.

რა ხდება ვრანგელთან.

ვრანგელს რეაქციონერები და მონარქისტები ეხვევიან გარს. ანტისემიტიურ აგიტაციას აშკარად აწარმოებენ. მექრთამეობა საშინლად გაიზარდა. ვრანგელის ეკონომიური პოლიტიკა პურის დატაცებაში გამოიხატება: პურს ართმევს გლეხებს იმ მიზნით, რომ საფრანგეთში გაიტანოს. ვრანგელის მიწის რეფორმამ ყველას გაუცრუა იმედი, ვინაიდან, მიუხედავად თავისი დაპირებისა, მან მემამულეთა ზეგავლენით, უარი უთხრა გლეხებს მოწმობების მიცემაზე, რომლებიც დაუსაკუთრებდენ გლეხებს მიწებს.

სამხედრო ცნობები

მოსკოვი. ოპერატიული ცნობა, ოქტომბრის 18 პოლოცკის რაიონში ჩვენი ჯარების სახელმწიფოებრივ საზღვრებისაკენ უკან დახევა გრძელდება. ჩვენ ხელ ახლა ავიღეთ პოლონეთის ჯარების მიერ დატოვებული მინსკი. ლუცკის აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლები გრძელდება. მტრის შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა ახალ პოზიციებისაკენ დაიხიეს, პოლესიის რაიონში ჩვენი ჯარები აწარმოებენ ბრძოლას იერიშით გადმოსულ მტრის წინააღმდეგ. ჩვენი ნაწილები იძულებულნი იყვნენ ახალ პოზიციებისაკენ დაეხიათ. სარნის მიმართულებით მკაცრი ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირემ თავის პოზიციებისაკენ დაიხია. ჩვენ რამდენიმე პუნქტი დავიკავეთ. ნოვგოროდ-ვოლინსკის რაიონში უმნიშვნელო შეტაკებებია. ჩვენმა ნაწილებმა ნოვგოროდ-ვოლინსკის ჩრდილოეთ-დასავლეთით მდებარე რამდენიმე სოფელი აიღო. შეპეტოვის მიმართულებით მტერი 60 ვერსზე—როგაჩევიდან ოსტროპოლამდე შემოტევას აწარმოებს. მკაცრი ბრძოლა გრძელდება. ლეტიჩევის რაიონში გრძელდება ცვალებადი ხასიათის ბრძოლები. ნოვოუშიცის მიმართულებით ქალაქ ბარის რაიონში მკაცრი ბრძოლებია, ჩვენ დავიბრუნეთ ქალაქი ბარი და სადგური მიტკა. ალექსანდროვსკ-სინელნიკოვის რკინის გზის რაიონში ჩვენ ცეცხლით უკუ ვაგდეთ მოპირდაპირე, რომელიც სადგურ ივკოვკის წინააღმდეგ შეტევას სცდილობდა. ხერსონის რაიონში ჩვენ ქალაქი ალეშკო დავიკავეთ.

გერმანული ცნობები

მილერის განცხადება.

მეუმრავლესე სოციალისტების პარტიის მიტინგზე ხელახლად არჩეულმა ყოფილმა პრეზიდენტმა გერმან მილლერმა განაცხადა, რომ პარტიის კომიტეტის დადგენილებით არც ერთს მინისტრს არ შეუძლია კომიტეტის წევრობა.

ეკონომიური თათბირი

(გაგრძელება)

13 ოქტომბერს ეკონომიურ თათბირზე თათბირის მონაწილეთა თხოვნით ეკონომიურ-ფინანსიურ საკითხის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ამხ. კ. კაუცკიმ. მოგვყავს მისი სიტყვა.

კარლ კაუცკის სიტყვა.

ამხანაგებო! (ამ სიტყვას ამხ. კაუცკი ქართულათ ამბობს). მე ვწუხვარ, რომ არ შემიძლია ვილაპარაკო თქვენს ლამაზ ენაზე, რომელიც ყველა აქ მყოფთავის გასაგებია; მე უნდა ვილაპარაკო თქვენს წინაშე გერმანულ ენაზე.

თქვენ, რასაკვირველია, იცით, თუ როგორი ძნელია ჩემთვის ლაპარაკი თქვენი ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ,—იმ ქვეყნის, სადაც დიდი ხანი არაა, რაც ვიმყოფები და რომელსაც საკმაოთ ვერ ვიცნობ. მე ამიტომ ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვსთქვა ზოგიერთი საერთო ხასიათის მოსაზრებები. რადგანაც დღეს თქვენს წინაშე იგივე პრობლემები სდგანან, რომლებიც გადაჭრას თხოვენ სხვა ქვეყნებშიაც,—მე ვფიქრობ, რომ ეს მოსაზრებები თქვენთვისაც არ იქნებიან ინტერეს-მოკლებულნი. დღეს თქვენს წინაშე სდგას არა სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელების საკითხი, არამედ საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ გამოვიდეთ იმ აუტანელ მძიმე მდგომარეობიდან, რომელშიაც ომმა ჩაგვაყენა. არა მარტო თქვენი ქვეყანაა ასეთ მდგომარეობაში; ასეთივე მდგომარეობა, მაგ., გერმანიაში, ავსტრიაში, საფრანგეთში და სხვ.

რომ გამოიწვია ქვეყნის ეკონომიური გაღატაკება? ამის უმთავრესი მიზეზია ის გარემოება, რომ არ მოიპოება ნაწარმოები არც მრეწველობაში და არც სასოფლო მეურნეობაში. შრომის ნაყოფიერების დაცემა, რომელიც საერთო მოვლენას შეადგენს, გამოწვეულია ორი მიზეზით. შევჩერდეთ ერთ ერთ მათგანზე. სახელდობრ იმაზე, რომ დღეს ადამიანები ცოტას მუშაობენ, ვინემ ომამდე. უალაგო არ იქნება, თუ აქ მოვიგონებთ მარქსის სიტყვებს იმის შესახებ, რომ შრომა არის წყარო ყოველგვარ ღირებულებისა. ბურჟუაზიის იდეოლოგები ხშირათ ამტკიცებენ, რომ შრომის ნაყოფიერების დაცემის მიზეზი 8 საათის სამუშაო დღის შემოღება არის. მაგრამ ომამდე 8 საათის სამუშაო დღის რეფორმა არ იწვევდა შრომის ნაყოფიერების დაცემას; სამუშაო დღის შემოკლებით უმჯობესდებოდა მუშების ფიზიკური თუ სულიერი მდგომარეობა, რაც შრომის ინტენსივობას ზრდიდა. დღეს, ომის შემდეგ, 8 საათის სამუშაო დღის დროს შრომის ნაყოფიერება დაეცა ევროპის ყველა სახელმწიფოებში. ეს მოვლენა სამგვარ მიზეზით აიხსნება. პირველი—ომმა ბრძოლის ველზე გაიყვანა მუშების უმრავლესობა და გადააჩვია იგი სისტემატიურ და ნაყოფიერ მუშაობას; მეორე—წარმოუდგენელი დაუძლურება ფიზიკურათ და მუშების სულიერი გარდატეხა, რაც ნაწილობრივათ ომის შედეგათ უნდა ჩაითვალოს, და ნახევრათ მშიერი ცხოვრება ომის შემდეგ,—ყველა ეს ამცირებს შრომის ინტენსივობას. შემდეგ საჭიროა აღინიშნოს პოლიტიკური მომენტი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში საგრძნობ როლს თამაშობს: იმ დებულების ძალით, რომ შრომა ჰქმნის მწარმოებელის ზედმეტ ღირებულებას, გავრცელებულია შეხედულება, რომ თუ ცოტას ვიმუშავებთ და შრომის ნაყოფიერებას მინიმუმამდე დავიყვანთ,—ამით ამდენათვე შევამცირებთ მწარმოებელის მოგებას და მასთანვე შევარყევთ კაპიტალისტურ საზოგადოების საფუძველს და გავაადვილებთ სოციალიზმისაკენ სავალ გზას. თავისთავათ ცხადია, ეს შეხედულება შემცდარია, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების შემცირებით არ ისპობა კაპიტალი, არამედ იძულებული ხდება იგი უარი სთქვას ნორმალურ სამრეწველო პროცესში მონაწილეობის მიღებაზე; ამის ნაცვლათ იგი იღებს სასპეკულიაციო და მტაცებლურ ფორმას. ამ რიგათ წარმოება ისპობა და მის ალაგს იკავებს კაპიტალის ბატონობის პარაზიტული ფორმა. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ ქვეყნის მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება. შრომის ნაყოფიერების ამაღლება და წარმოების განვითარება საუკეთესო იარაღია სპეკულიაციის წინააღმდეგ საბრძოლველათ, ვინემ რეპრესიები და ეს აუცილებელია მძიმე ეკონომიურ მდგომარეობისთვის თავის დასაღწევათ. ასეთ პირობებში არაა საჭირო, რათა უარყოფილი იქნეს 8 საათის სამუშაო დღე. საჭიროა მხოლოდ შეიქნეს ხელსაყრელი პირობები შრომისათვის, როდესაც მუშა მორალურათ კმაყოფილი იქნება; ეს ნოყიერი ნიადაგი იქნება შრომის ინტენსივობისათვის.

მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის მეორე მიზეზია ომის მიერ გამოწვეული საწარმოო საშუალებათა და ტრანსპორტის დაშლა და შემცირება. მათი გასაუმჯობესებლათ საჭიროა კაპიტალი. ამასთან მჭიდროთ არის დაკავშირებული საკითხი ვალიუტის შესახებ. მე აქ არ გამოვუდგები თეორიას ფულის ტრიალის შესახებ. ვიტყვი მხოლოდ რამდენიმე სიტყვას. როგორც იცით, ვალიუტის მდგომარეობა ორ მომენტზეა დამოკიდებული. პირველი მომენტია სავაჭრო ბალანსი, საკითხი ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ჯანსაღი ეკონომიური პოლიტიკა მოითხოვს, რათა სავაჭრო ბალანსი მტკიცე იყოს. რამდენათაც მე ვიცნობ თქვენი ქვეყნის ეკონომიურ რესურსებს,—ამ მხრივ თქვენი მდგომარეობა უნუგეშო არ არის. თქვენი ექსპორტმა სათანადო სიმაღლეს მიაღწია და იმედიც არის, რომ მომავალში კიდევ უფრო განვითარდება.

ექსპორტსა და იმპორტს შორის დამოკიდებულებაზე უფრო მეტი მნიშვნელობა ვალიუტისთვის ემისიას—სახელმწიფო ხარჯების დასაფარავათ ქაღალდის ფულების გამოშვებას აქვს. როგორ შეიძლება დამყარებული იქნეს ბიუჯეტის წონასწორობა და ამით თავიდან იქნეს აცილებული ახალი ქაღალდის ფულების გამოშვება? ეს შეიძლება მიღწეული იქნეს ერთი მხრით შემოსავლის გადიდებით, ხოლო მეორე მხრით გასავალის შემცირებით. ხარჯების შემცირებიდან მე ბევრს არას მოველი, ვინაიდან, როგორც სხვაგან, ისე თქვენთანაც დღეს, ომის შემდეგ, სახელმწიფოს ბევრი მოთხოვნილებები აქვს; და თვითეული რეფორმა აუარებელ ხარჯებს მოითხოვს. ერთად ერთი საგრძნობი შემცირება ხარჯებისა შეიძლებოდა მოგვეხდინათ სამხედრო ბიუჯეტში; მაგრამ სანამ არსებობს დღევანდელი საერთაშორისო მდგომარეობა, სანამ თქვენი საგარეო მდგომარეობა არ განმტკიცებულა,—სამხედრო ხარჯების შემცირებაზე ლაპარაკი არ შეიძლება. ამ რიგათ რჩება ერთად ერთი გზა—შემოსავლის გადიდება.

ნორმალური საშუალება ამ მიზნის განსახორციელებლათ არის გადასახადების გადიდება, ახალ გადასახადების დაწესების წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან გლეხები, რომლებიც თქვენში უმრავლესობას წარმოადგენენ, გადასახადებს ცოტას იხდიან. მე ვფიქრობ ამიტომ, რომ ამ მხრივ ეკონომიურ ხასიათის დაბრკოლებები არ არის. შესაძლებელია თუ არა ეხლანდელ ძალთა განწყობილების დროს ამ ზომის განხორციელება უმტკივნეულოთ,—ეს პოლიტიკურ ხასიათის საკითხია და არა ეკონომიური. ამაზე მე ნებას არ მივსცემ ჩემს თავს ვილაპარაკო, ვინაიდან მე ამისთვის არ მომეპოვება საკმაო მასალა. უნდა ვიფიქროთ, რომ თუ გლეხები დარწმუნებული იქნებიან იმაში, რომ ეს ფული არა ზარმაცთა და უსაქმურთა სასარგებლოთ დაიხარჯება, არამედ მოხმარდება გლეხთა მეურნეობის გაუმჯობესებას და, საზოგადოთ, საწარმოო მიზნებს,—მაშინ მათ ახალ გადასახადების საწინააღმდეგო არაფერი ექნებათ.

თქვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრების მოსაწესრიგებლათ საჭირო იქნება მეტი საშუალება, ვინემ ეს გადასახადებს შეუძლიათ მოგცეთ. ამ მიზნით საჭირო იქნება სესხის აღება. როგორც სხვაგან, ისე თქვენშიაც იძულებით სესხზე ლაპარაკობენ. ეკონომიურის თვალთა ხედვის მხრით ამის წინააღმდეგ არაფერი ითქმის, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც კაპიტალიზმი დიდათ განვითარებულია, იძულებითი სესხი საშიშო ნაბიჯია, ვინაიდან იგი ართმევს წარმოებას საბრუნავ კაპიტალს. ასეთი საფრთხე საქართველოში მხოლოთ ოდნავათ არსებობს. წვრილი გლეხური მეურნეობა სულაც არ შეფერხდება, თუ გლეხობა დაგროვილ ქაღალდის ფულების ნაწილს იძულებითი სესხისათვის გაიღებს. კაპიტალს თქვენს ქვეყანაში უმთავრესათ მტაცებლური და სასპეკულიაციო ხასიათი აქვს და თუ ცოტათი შეკვეცილი იქნება მისი მადა,—ეს მხოლოდ სასარგებლო იქნება. მაგრამ საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს, რომ თქვენი წარმოების საბრუნავი კაპიტალი არას შემთხვევაში შემცირებული არ უნდა იქნეს.

საფრთხილოა, რომ იძულებითი სესხიც არ გეყოთ, რათა შექმნათ მაინც საწარმოო აპარატი, რომელიც თქვენთვის საჭიროა წარმოების განსავითარებლათ და ქვეყნის გამოსაყვანათ მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან. როგორც აღმოსავლეთის სხვა მრავალი სახელმწიფოები, თქვენ ვერ გაძლებთ დასავლეთ ევროპის დაუხმარებლათ,—იმ ქვეყნების დაუხმარებლათ, რომლებიც ეკონომიურათ ჯერ კიდევ კაპიტალის ბატონობის ქვეშ იმყოფებიან, სადაც კაპიტალის ხელშია ყოველგვარი საწარმოო რესურსები. თქვენ იძულებული იქნებით უცხო კაპიტალი მოიწვიოთ თქვენს ქვეყანაში. თუ კი თქვენ ვერ მოახერხეთ სესხის აღება უცხოეთში,—მაშინ უცხოელების მიერ თქვენში საწარმოო დაწესებულებათა დაარსების გვერდის შევლა თქვენთვის შეუძლებელი იქნება. რომ ყველაფერი ეს სოციალისტურ მთავრობისათვის არაა სასიამოვნო,—ეს ცხადზე უცხადესია. მაგრამ სხვა გამოსავალი თქვენ არ გექნებათ. მოვიგონოთ მარქსის შეხედულება იმის შესახებ, რომ ხალხთა ცხოვრებაში ეკონომიურ აუცილებლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. კარლ მარქსს ტყუილათ კი არ მოუნდომებია რამდენიმე ათეული წელი, რომ გამოეკვლია კაპიტალისტურ საზოგადოების სტრუქტურა და გზები, რომლებსაც სოციალიზმისაკენ მივყავართ. სოციალისტების მიზანს მარტო მესაკუთრეთა ექსპროპრიაცია რომ შეადგენდეს,—მაშინ მას არ მოუხდებოდა კოლოსალური შრომის და ენერგიის დახარჯვა. მე ვფიქრობ, რომ ეკონომიური აუცილებლობა თქვენ აგიძულებს ისეთ დათმობებზე წახვიდეთ კაპიტალის წინაშე ყველა დარგებში, რომ თქვენ არ შეგეძლებათ დაუყოვნებლივ გადახვიდეთ სოციალიზმში. თქვენი მოვალეობა ის იქნება, რათა გამონახოთ ისეთი ფორმები, რომლებიც კაპიტალს არ დააფრთხობენ და იმავე დროს უზრუნველყოფენ პროლეტარიატისა და საზოგადოების გავლენას წარმოების პროცესზე.

მეტათ დიდია ის სიძნელე, რომელიც თქვენ უნდა დასძლიოთ. მაგრამ ეს სიძნელე საგრძნობათ გაადვილდება, როდესაც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში სოციალიზმი განხორციელდება. ამისთვის საუკეთესო პერსპექტივები არსებობს სახელდობრ გერმანიაში, სადაც სოციალ დემოკრატები გაბატონდებიან მაშინვე, რა ჟამს სოციალისტური პარტიები გაერთიანდებიან და ინგლისში, სადაც მუშათა მოძრაობა თანდათან იმარჯვებს. არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ უახლოეს საპარლამენტო არჩევნებში ინგლისის მუშათა კლასი ისეთ გამარჯვებას იგემებს, რომ იგი გახდება მთავარი მატარებელი ინგლისის პოლიტიკისა. ამით თქვენი მდგომარეობაც განმტკიცდება და შესაძლებლობა გექნებათ ხელიხელ ჩაკიდებული იაროთ საერთაშორისო პროლეტარიატთან ერთად წინ სოციალიზმისაკენ! (ხანგრძლივი ტაში).

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

გაზ. „ტაიმსი" რუსეთის საკითხის შესახებ.

ტაიმსი იუწყება: ინგლისის მთავრობა რუსეთის საკითხის მიმართ ახალ თვალსაზრისზე დადგა. ინგლისის ოფიციალური წრეები დარწმუნებული არიან, რომ საბჭოთა რეჟიმი ანარქიის გამო სულ მოკლე ხანში დაემხობა. ამ შემთხვევაში რუსეთში რეაქციონური მთავრობა დამკვიდრდება. ინგლისის პრესტიჟს რუსეთი დიდ საფრთხეს უმზადებს. ინგლისმა ახლავე უნდა გადადგას სათანადო ნაბიჯები თავისი გავლენის განსამტკიცებლად, თუ თვით რუსეთში არა, ერთ ერთ მის ყოფილ ნაწილში მაინც. ამისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგი არის უკრაინა, რომელიც დამოუკიდებელ ცხოვრებისაკენ ისწრაფის. მადნებით და პურით მდიდარ უკრაინას ინგლისის დახმარებით სწრაფად შეუძლია ნორმალური წესების აღდგენა. ამ შემთხვევაში უკრაინა საუცხოო საფუძველი იქნება აღმოსავლეთ ევროპაში ინგლისურ გავლენის განსამტკიცებლად. ამიტომ ინგლისმა თავის მორიგ საკითხად უნდა დასვას—უკრაინისათვის დახმარების აღმოჩენა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში და უკრაინის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა.

პეტროგრადის მცხოვრებთა რაოდენობა.

პარიზი. „ტანი" იუწყება: პეტროგრადის წითელი გაზეთის ოფიციალურ ცნობების მიხედვით ამ ჟამად პეტროგრადში ირიცხება 296 000 მამაკაცი და 410.000 ქალი. 1916 წ. კი მცხოვრებთა რიცხვი სამ მილიონს უდრიდა.

მახნო.

კრაკოვიდან იუწყებიან მახნოს ახალი ლალტის შესახებ. მისი ცხენოსანთა რაზმები მცხოვრებთა დახმარების წყალობით ხარკოვს უახლოვდებიან. მახნოს პარტიზანებმა ნიკოლაევ ზნამენკას რკინის გზის ხაზზე სად. დოლინსკაია აიღეს. წითელმა ჯარებმა ნიკოლაევი დასტოვა.

მუშების ნაკლებობა.

მოსკოვი. ეკონომიური ცხოვრება იუწყება: პეტროგრადის ქარხნებს ცოცხალი ძალა აკლიათ. მუშების სიმცირე უდიდესი მიზეზია ქარხნების ნორმალურ მუშაობის დარღვევისა. კრიზისის თავიდან ასაშორებლად მოიწვიეს საგანგებო თათბირი. გადასწყვიტეს: მოახდინონ ქარხნებში მუშათა გადაჯგუფება, ქარხნებში გადაიყვანონ წვრილი სახელოსნოებიდან კვალიფიციური მუშები, ამუშაონ ტუსაღები და სხვა და სხვა გუბერნიებიდან მუშები ჩამოიყვანონ. განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს წარმოების მსვლელობაზე შრომის ნაყოფიერების საშინელი დაცემა.

სომხეთში

ერევანი. ოქტ. 15. მთავრობამ გამოაქვეყნა კანონი, რომლის ძალითაც სომხეთის მცხოვრებთ ედება სახელმწიფო თავდაცვის გადასახადი, რომელიც 2½ მილიარდ მანეთს უდრის. ერევანზე 246 მილიონი მან. მოდის, ალექსანდროპოლზე 120 მილიონი მანეთი, ყარსზე 45 მილ. მანეთი. (სდს).

ახალი ამბები

დღეს საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ **ეკონომიური თათბირი.** პარასკევს, 22 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია ეკონომიური თათბირის გაგრძელება. განსაკუთრებული მანდატებით დაესწრებიან შემდეგი პარტიული ორგანიზაციები: საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი, საკონტროლო კომისია, თფილისის კომიტეტი, თფილისის რაიონული ს. დ. კოლექტივები, მცირე კოლექტივები, საქ. პროფეს. კავშირთა საბჭოს აღმასრ. კომიტეტში და თფილისის პროფეს. კავშირების სეკრ. კავშირებში მომუშავე ამხანაგები, დამფ. კრების ს.-დ. ფრაქცია, კოოპერატივთა, ქალაქთა და ერობათა კავშირების ცენტრებში მომუშავე ამხანაგები.

◆ **განათლების საზოგადოება** ხუთშაბათს 21 ოქტომბერს წართავს ყულაბებით ფულის მოგროვებას თავის სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებლის სასარგებლოდ.

◆ **თანახმად პარიზიდან** მიღებულ დეპეშისა, ოქტომბრის პირველ რიცხვებში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი მიუღია ელისეის სასახლეში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხოლო შემდეგ საფრანგეთისავე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ბ-ნ ლეიგს. ორივე აუდიენციას ჰქონია საქართველოსადმი დიდი სიმპატიისა და კეთილგანწყობილების ხასიათი.

◆ **სკოლის გარეშე განათლება.** მუშათა სასახლეში განახლდა მეცადინეობა სკოლის გარეშე განათლების საზოგადოების კურსებზე. მეცადინეობა რუსულსა და ქართულ ენებზე ყოველდღე საღამოს 6 საათ. 9 საათამდე სწარმოებს. კურსებზე ჩაწერის მსურველი ბევრია, მაგრამ საჭირო ბინების უქონლობის გამო მსურველთა მიღება განსაზღვრულია.

◆ **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირის მიერ ქალაქებისათვის შეძენილია ნ. ჟორდანიას სრული თხზულებანი და ამიერ კავკასიის მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების სხდომების ოქმები. ამ გამოცემათა მიღება შეიძლება ქალაქთა კავშირში.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში.** გენ. ვრანგელის მუხანათურ თავდასხმის და შავი ზღვის ნაპირებზე სროლის საპასუხოთ, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მთავრობის დადგენილების თანახმად აპატიმრებენ იმ მოქალაქეთ, რომლებიც გენ. ვრანგელის მიერ დაჭერილ ტერიტორიიდან ჩამოვიდნენ.

◆ **პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა** დაადასტურა „სურსათ-სანოვაგის" კავშირთა მუშების დადგენილება რკინის გზის ფურნეთა იმ მუშების სამსახურიდან დათხოვის შესახებ, რომელთაც მათდამი კუთვნილ ფულის რაოდენობის გამორკვევის დროს, კავშირისადმი შეუტყობინებლად შესწყვიტეს ფურნეებში მუშაობა და ამგვარათ რკინის გზის მუშები და მოსამსახურეები იმ დღეს უპუროდ დასტოვეს. პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატმა კვლავ დაადასტურა თავისი დადგენილება იმის შესახებ, რომ შრომის ბირჟამ ყველაზე უწინ სამუშაო მისცეს კავშირის წევრებს და შემდეგ სხვა უმუშევართ. სეკრეტარიატის ცნობით ბაზრის კანტროლიორებს ვაჭრებისათვის შეუდგენიათ 3,319 ოქმი.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის რეგისტრაცია.** სისტემატიური მეცადინეობა განახლებულ უნივერსიტეტში დაიწყება 1 ნოემბერს. უნივერსიტეტის ხელმძღვანელად გამგეობამ მოიწვია გრ. იაზ. ნათაძე.

◆ **ბინა სახალხო უნივერსიტეტისათვის.** რადგანაც ეხლანდელი ბინა იმ ვრცელი სასწავლო გეგმისათვის, რომელსაც გამგეობა აწარმოებს, გამოუსადეგარია, გადასწყვიტეს ითხოვონ მთავრობის თავმჯდომარისათვის სახალხო უნივერსიტეტისათვის რეკვიზიციით გადაეცათ შესაფერისი შენობა. ორშაბათს 17 ოქტომბერს დელეგაცია, რომელშიაც შედიოდნენ პროფ. კავშირთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი დობორჯგინიძე, სახალხო უნივერსიტეტის რექტორი ნათაძე და გამგეობის მდივანი ი. ანთაძე წარუდგენ მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, რომელმაც დახმარება აღუთქვა.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა შორის.** დღეს, საღამოს 5 საათზე, ცენტრალურ კომიტეტის ახალ ბინაზე („ერთობის" შენობაში) დანიშნულია საქ. ახ. მარქ. ორგ. ცეკას, საკონტროლო კომისიისა და ყველა რაიონულ ორგანიზაციების წარმომადგენელთა გაერთიანებული საგანგებო სხდომა. განიხილველია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები. დასწრება ამხანაგებისათვის სავალდებულოა.

◆ **შინაგან საქმეთა სამინისტროში** ბორჩალოს სამაზრო ერობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს შუამდგომლობით მიმართა სასოფლო ერობათა შემოღების შესახებ. შუამდგომლობა წვრილ საერობო ერთეულის შესახებ კანონის უქონლობით არის გამოწვეული. ამ შუამდგომლობის საპასუხოდ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ბორჩალოს სამაზრო ერობას აცნობა, რომ ერობის დროებით წესდებაში გამორკვეულია უფლება და მოვალეობა წვრილ საერობო ერთეულების შესახებაც. ერობათა კავშირის კომიტეტმა უკვე შეიმუშავა კანონ-პროექტი თემის თვითმართველობის შესახებ. კანონ-პროექტი დაბეჭდილია ჟურნალ „ერობის" მე-4 ნომერში. იგი ზოგიერთ ცვლილებით მიღებული იქნება დამფუძნებელი კრების მიერ და ამ რიგად შექმნება ერობათა ორგვარი ტიპი—სამაზრო და თემისა. ასეთ პირობებში ერობის კიდევ ახალი ტიპის შექმნას მდგომარეობა აღარ მოითხოვს.

კრებები.

ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს, დანიშნულია ს. სოც.-დ. მუშ. პარტიის სომხურ სექციის სხდომა. დღის წესრიგშია მეტად საყურადღებო საკითხები.

— 21 ოქტ. საღამოს 5 ს. საქართველოს კოოპ. ბანკის შენობაში დანიშნულია ამავე ბანკის საბჭოს წევრთა სხდომა. წევრებს სთხოვენ უსათუოდ დაესწრონ

უცხოეთი

ინგლისი.

ტრედ-უნიონების კონგრესი და რუსეთი. ტრედ-უნიონების კონგრესზე, რომელიც მუშაობდა სექტემბრის პირველ რიცხვებში პორტსმუტში, იმყოფებოდა 950 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ 8½ მილიონ წევრებს. კონგრესის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ინგლისელ რკინისგზელების ბელადი, თემთა პალატის წევრი ტომასი. თავის პირველ სიტყვაში ტომასმა სხვათა შორის სთქვა: მუშათა მოძრაობამ, რომელიც ემყარება მცხოვრებთა ფართო წრეების საზოგადოებრივ აზრს, შესძლო თავიდან აეცილებინა ქვეყნისათვის ახალი ომი, რომელშიც ითრევდნენ მას სახელმწიფო მოღვაწენი. ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა კარგათ იციან, რომ ჩვენ ვესწრაფოდით მხოლოდ რუსეთთან ომის თავიდან აცილებას. ჩვენმა დროებითმა წარმატებამ საბოლოოთ არ მოსპო საფრთხე. უკანასკნელი საბოლოოთ თავიდან მოშორებული იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შეიკვრება რუსეთთან ზავი. შემდეგ ტომასმა აღნიშნა, რომ ინგლისის მუშების გამოსვლა რუსეთის სასარგებლოთ სრულიად არ ჰნიშნავს საბჭოთა სისტემის მოწონებას. ინგლისის ხალხს თავისუფლათ შეუძლია სახელმწიფო ფორმის ამორჩევა. თუ რუსეთის ხალხი უპირატესობას აძლევს საბჭოთა სისტემას—ეს იმისი საქმეა. ბოლოს ტომასმა განაცხადა, რომ ინგლისის მუშები ერთსულოვნათ მოითხოვენ პოლონეთის დამოუკიდებლობის დაცვას.

შვეიცარია.

შვეიცარიის სოციალ-დემოკრატია და მე-3 ინტერნაციონალი. შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის გამგეობამ გადასწყვიტა არ შევიდეს მე-3 ინტერნაციონალში. გაზ. „ბერნერ ტაგებლატ"-ი შემდეგნაირათ განმარტავს ამ რეზოლუციას: „მოსკოვის პირობების მიღება ჰნიშნავს შვეიცარიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის და პროფესიონალურ კავშირების დაღუპვას".

პოლონეთი.

პოლონეთის სოციალისტების აზრი რუსეთთან და ლიტვასთან ზავის შესახებ. „ვარშ. სლოვო"-ს მოჰყავს რეზოლუცია, მიღებული 29 აგვისტოს პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პ. პ. ს.) აღმასრულებელ კომიტეტისა და სეიმის ფრაქციის მიერ—რუსეთთან და ლიტვასთან ზავის შესახებ. ამ რეზოლუციაში სხვათა შორის სწერია: „იმ ხალხთა საკითხის შესახებ, რომლებიც სცხოვრობენ რუსეთსა და პოლონეთს შორის მდებარე ტერიტორიებზე, პოლონეთმა უნდა მოითხოვოს, რომ მიენიჭოს მათ უფლება დამოუკიდებლათ გადასწყვიტონ თავისი მომავალი ბედი, რადგანაც ისინი რუსეთის სახელმწიფოს ფარგლებში შევიდნენ არა თავისი სურვილის თანახმად, არამედ ძალდატანებით, მათზე სამხედრო გამარჯვების შემდეგ.

პ. პ. ს. სთვლის, რომ საზავო ხელშეკრულება, დადებული 12 ივლისს საბჭოთა რუსეთსა და ლიტვას შორის—არის იმპერიალისტური ხელშეკრულება და არ შეიძლება იქნეს ცნობილი პოლონეთის რესპუბლიკის მიერ. ვილნოს და გროდნოს მიწების მომავალი ბედის საკითხი ეხება მხოლოთ პოლონეთსა და ლიტვას და იგი უნდა გადაწყდეს მათ შორის მოლაპარაკებით".

გაზეთი „საქართველო" და მომარაგების სამინისტრო

V.

„საქართველო" განაგრძობს თავის „ობიექტივობას": „ერთი სამინისტრო ხელგაშლილად მოქმედობს. მილიონებს აძლევს ისეთ პირებს, რომელთაც არავითარი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ აქვს".

ეგები ადანაია (ავტორი ადანაიაზე ლაპარაკობს) „საქართველოსთვის" უცნობი ვინმე იყვეს, მაგრამ, ვინაიდან მან მოისურვებია პიროვნებაზე წერა, ვალდებული იყო ჯერ გაეცნო ადანაიას პიროვნება, მისი წარსული და აწმყო; მერე კი შესდგომოდა წერას. მაშინ ავტორის ობიექტივობაში არავინ ეჭვს არ შეიტანდა... მაგრამ მაგარიც ის არი, რომ ავტორს სრულებით არ აინტერესებს სინამდვილის გაშუქება. მისი მიზანია პიროვნების და დაწესებულების ლანძღვა, რისთვისაც სინამდვილის წინაშე ჩადრს იფარებს. და რომ ეს ასეა, აშკარა გახდება, თუ გამოვარკვევთ, მართლაც ისეთი პიროვნებაა ადანაია, რომელსაც „არავითარი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ აქვს", თუ ეს სიტყვები სინამდვილეს დაშორებულია?

ადანაია, რევოლუციის პირველ დღეებში, ციმბირიდან დაბრუნებული საზოგადოებამ აღჭურვა თავისი ნდობით და სენაკის მაზრაში აირჩია ერთ-ერთ თვალსაჩინო თანამდებობაზე. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველ დღეებში ის მოწვეულ იყო სასურსათო სამინისტროში, სადაც ეჭირა თვალსაჩინო თანამდებობა, რესპუბლიკის სამომარაგებო ნაწილის უფროსისა. შემდეგ სასურსათო სამინისტროს ლიკვიდაციისა და სასურსათო საბჭოს შექმნისას ადანაია მოწვეული იყო სასურსათო საბჭოს გამგეობაში.

ბოლო ხანებში, ივნისში თფილისის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ ის დანიშნა მთავარ რწმუნებულად ბორჩალოს მაზრაში თფილისისათვის ხორბლეულობის დასამზადებლად. ამ მიზნით ადანაიას თფილისის გამგეობის სასურსათო განყოფილებამ ბორჩალოში გაუგზავნა რამოდენიმე მილიონი მანეთიც. ივლისის შუა რიცხვებში ბორჩალოს მაზრის რწმუნებულის ორგანიზაცია გადავიდა მომარაგების სამინისტროს ხელში. ადანაია, როგორც რწმუნებული, დარჩა თავის ადგილზე თავისი შტატით.

სამინისტრომ მას გაუგზავნა ბოლო ხანებამდე არა 9 მილიონი, როგორც სწერს „საქ." არამედ ორმოც მილიონამდე. 9 მილიონი ის თანხაა, რომელიც ადანაიამ გადასცა თფილისის კოოპერატივთა კავშირს.

ზემო ნათქვამიდან ვგონებთ ნათელია, რომ ადანაია არც ისე შემთხვევითი ადამიანი ყოფილა, რომ არავითარი საზოგადოებრივი მდგომარეობა არ ჰქონოდეს, როგორც ჰგონია ეს „საქართველოს". თვით ავტორის ამ ნაწერიდანაც სჩანს ეს: „ადანაია თფილისის (დაბეჭდეთ თფილისის მაზრისაც) კოოპერატივთა კავშირის თავმჯდომარეთაც კი აურჩევიათ". ესე იგი ის აღუწერავთ საზოგადოების ნდობით. მაგრამ „საქართველოსათვის" და მის მიმდევართათვის „კოოპერატივების ნოქრები" ან მოღვაწენი და მათი ნდობა რა ანგარიში გასაწევია, ან რა ღირებულებას წარმოადგენენ იმ ხალხთან შედარებით, რომელნიც ყოფილ „კაფე ფრასკატის" კუდლებში არიან მოკალათებულნი; მაგრამ ობიექტიური წერილი ვალდებული იყო, სანამ ადამიანის და დაწესებულების შესახებ წერას შეუდგებოდა, ეს „უმნიშვნელო" ფაქტებიც გამოერკვია.

უბედურება ის არის, რომ ჩვენ იძულებულნი ვართ ვწეროთ ისეთ საგნებზე და გამოვიტანოთ პრესაში ისეთი რამეები, რის გამოტანაც, როგორც თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, თვით სახელმწიფოსათვის საზიანოა. თქვენ კარგათ იცით, ბატონებო, თუ როგორი სათუთი რამ არის ვაჭრობის საქმე, როგორი წინდახედულობაა საჭირო იმ ორგანოს გარშემო, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის სათავეში სდგას.

ეს ყოველივე თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, მაგრამ თქვენი მიზანია სწორეთ ამ მხრით მოუღლეთ საკითხს სახელმწიფოს საზიანოთ და ერთი მუჭა ვაჭარ-სპეკულიანტების სასარგებლოთ. ენი.

საუბარი საგანგებო კომისართან ბათომისა და მისი ოლქისა გ. ჩხიკვიშვილთან

III.

მაგრამ ადმინისტრაციის მოქმედებას აუხირდნენ განსაკუთრებით კობის და ორთაბათუმის ამბების გამო. ამ კითხვის შესახებ საჭიროა მეტის მეტი სიფრთხილე. იმით სადემაგოგიოთ არავინ არ უნდა ისარგებლოს, ვისაც კი სახელმწიფოს ინტერესები მართლაც აინტერესებს. ეს კითხვა პრინციპის და ტაქტიკის კითხვაა და თუ მართლაც ის გზა მოქმედებისა, რომელიც მთავრობას სწორი გონია და მე ვიწარმოებდი მას, ვინმე დაამტკიცებს, რომ მრუდია და არაა მიზანშეწონილი მაშინ, რასაკვირველია, უეჭველი უნდა იქნეს ის და სხვა გზა გამონახული.

ქობულეთის რაიონის სოფლებში სეიდი-მილეთლები და უცხო ქვეყნის აგენტები დაძრწიან და ხალხს მთავრობის წინააღმდეგ აქეზებენ. მტერსა და მოყვარეს აქ ძნელათ გაარჩევ, რადგანაც ყველა მფარველობას უწევს ამ ნაძირალებს რამოდენიმე სოფლებში—კობში, აჭყვის თავში, ხინოში და ორთაბათუმში. ეს ის სოფლებია, რომლებმაც წინაღმდეგ სამუსლიმანო საქართველოს სურვილისა და ინტერესებისა ჩვენ ჯარზე ქობულეთში თავდასხმა მოახდინეს და შემდეგაც ჩვენს მტრებსა და მოღალატეებს თანაგრძნობით ეპყრობოდნენ. მე რამოდენიმეჯერ განვაცხადე, რომ ძველი დანაშაულობისათვის არავინ დასჯილი არ იქნება, ოღონდ ეხლა დაუბრუნდით თქვენს კერას და მშვიდობიანათ იცხოვრეთ-მეთქი, მაგრამ ამით მცირედმა ნაწილმა ისარგებლა. ხდებოდა ყაჩაღობა საგარაკო რაიონებში (სამი შემთხვევა იყო) და ყაჩაღები ამ სოფლებში თავს იფარებდნენ. სოფლებში მილიციის პოსტების დაარსებით იმათ თარეშს ბოლო მოეღებოდა და კიდეც ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ ყოველი ძალღონით, დაწყებული მუქარიდან და გათავებული მკვლელობით მილიციის სოფლათ გამაგრებას.

ესაა მთავარი სტიმული კობში მილიციაზე თავდასხმისა და მილიციონერების დახოცვის და არა ძალათი განიარაღება გულთოღლისა და ან მისი გალახვა. უკანასკნელის დამტკიცება ძნელია, რადგან მოწმე არაა და უფრო ახლოა სინამდვილესთან ვიფიქროთ, რომ მილიცია, თუ გინდა შიშით, შეიარაღებული სოფლის შუაგულში ვერ გაბედავდა უბრალოთ კაცის ცემას. ამას უფრო გვარწმუნებს ისიც, რომ ქობულეთის რაიონის უფროსი მეტად დახვეწილი, სანდო და ჭკვიანი ქართველი მუსულმანი ქობულეთელი კაიკაცი-შვილია. მილიციის კობში დაბინავებით და გულთოღლის განიარაღებით ყაჩაღებმა უკვე იგრძნეს შიში და კიდეც დაესხნენ თავზე ღამით მილიციას, ამოხოცეს და გაიქცნენ.

შესაძლებელია, რომ სოფელმა არ იცოდეს ამათი ვინაობა? მე ამას ვერ დავიჯერებ. სოფელი ამისთვის უნდა დასჯილიყო და ჩვენც ასე მოვიქეცით. იმათი განიარაღება, ფულის გადახდევინება დახოცილთა ოჯახების უზრუნველსაყოფათ და საეჭვო პირების დატუსაღება აუცილებელი იყო და მეც ასე მოვიქეცი.

მეზობელი სოფლები მეორე დღიდანვე შეუდგნენ მილიციის პოსტების დაარსებასაც, სკოლების გახსნასაც და კომისრების არჩევასაც. მუსულმანები პირდაპირ არ დაადებენ ხელს მძარცველებს, მაგრამ საშუალება მოგვცეს მეორე დღესვე ოთხი შეიარაღებული ყაჩაღი ნატანების გზაზე, რომლებმაც ძარცვა ჩაიდინეს, დაგვეტუსაღებინა და ყველამ დანაშაულობა აღიარა.

ასეთივე ამბები განმეორდა ორთაბათუმში, სადაც მოკლული მილიციონერი ფიდაევს საფლავი წაბილწეს, მერმეთ ზედ ჯვარი დაასვეს წარწერით „ქართველების მომხრეთ ყველას ასე დაემართება". აქ ოღონდა გადახდევინებული ერთი მილიონი მანეთი ხმარდება სკოლის და კომისარიატის შენობებს და ხიდის გაკეთებას. განიარაღებამ აქ ასამდე საუკეთესო ვინტოვკები მოგვცა.

ზოგიერთებსა გონიათ, რომ ასეთ დროს არ ღირს იმათი გაღიზიანება. მთავრობის ძალა-უფლების სიმტკიცე ხომ იმაშია, რომ დანაშაული არავის არ შერჩება.

ასე ფიქრობს ადმინისტრაციის მოქმედებაზე მთავრობა და მე ვანხორციელებდი მას როგორც შემეძლო. ეს გზა მოქმედებისა მოსწონდა და მოსწონს ბათომში მომქმედ ყველა პოლიტიკურ ორგანიზაციებს. აქ არსებობს ინტერ-პარტიული სათათბირო საბჭო, რომელიც მუდამ მხარს მიჭერდა, მეხმარებოდა მაძლევდა რჩევას და ერთი სიტყვით მიადვილებდა მუშაობას. ჩვენს შორის რომელიმე სერიოზულ საკითხში სხვა და სხვაობა ერთხელაც კი არ ყოფილა.

მაგრამ ადმინისტრაციის მუშაობა მარტო ზემო ჩამოთვლილით არ განისაზღვრება. ათეული მილიონების სახელმწიფო ქონება დატაცებული და დაყიდული ჩვენს—ბათომში ჩასვლამდე ზოგი დენიკინელების და ზოგიც კიდევ სხვების მიერ ყველაფერი უკან დავიბრუნეთ—და სათანადო უწყებებს ჩავაბარეთ. დიდი ღვაწლი მიუძღვის ამაში სახალხო გვარდიის და სახელმწიფო კონტროლის წარმომადგენელს ბ-ნ დ. ჩიქოვანს, რომელიც თავზე მეტი მუშაობდა ჩვენთან ერთად ამ მხრით.

მეორე საქმე—ყველა უწყებათა ადგილობრივი დაწესებულებების მოწყობა და მუშაობის გაჩაღება შესრულებულათ უნდა ჩაითვალოს. მიწათ მოქმედების უწყებამ ჩაიბარა ყველა სახელმწიფო და კერძო დანაშაულებისათვის ჩვენ მიერ ჩამორთმეული მამულების, მიღება, იმათი ცნობაში მოყვანა და მუშაობის დაწყება. ასეთივე მუშაობა შეასრულა ფინანსთა და სამხედრო უწყებებმა, რომელთა მილიონებათ ღირებული ქონება და საკუთრება უკანონოთ დაპატრონებულ მოძალადეებს გამოვტაცეთ ხელიდან და დაუბრუნეთ კანონიერ პატრონებს.

განათლების სამინისტროს უწყების მუშაობა დიდათ თვალსაჩინოა. ბათომში უკვე დემოკრატიული საქართველოს სკოლის და სწავლა-აღზრდის საქმე ჰეგემონობს. ქართულმა სკოლამ და ქართველმა მასწავლებელმა თავის ადგილი დაიჭირა. ჩვენ შევძელით სხვა მკვიდრ ეროვნებათა მოსწავლე ახალგაზრდობის ინტერესების დაკმაყოფილებაც პარალელური კლასების გახსნით, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოებრივობის იდეის განმტკიცებას ყველა უნდა ითვისებდეს და ემსახურებოდეს. ოლქში სკოლები რამდენიმე ადგილას უკვე გაიხსნა და ერთი წლის მუშაობა გვჭირია კიდევ, რომ სახალხო სკოლა ბათომის ოლქში დამკვიდრდეს. ამასთანავე, ანგარიშს უწევდით რა მუსულმან ქართველების რელიგიურ სულის კვეთებას დიდი სიფრთხილით მოვეპყარით ამ მხარეს და სჯულის სწავლება ყურანის ენაზე დავტოვეთ მოლებისაგან შესაფერი მომზადებული მასწავლებლების არჩევით.

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საქმეც რამდენიმეთ მოგვარებულია. შორეული კუთხეები ბათომთან შეკავშირებულია.

დიდი მუშაობა და ენერგია მოითხოვა საექიმო-სანიტარული საქმის დაახლოვებით მაინც მოწესრიგებამ. უზარმაზარი საოლქო საავადმყოფო უთვალავი შტატით, რომელიც ბათომში იყო და ოლქის ინტერესებს სრულიადაც არ ემსახურებოდა, ქალაქს კი საკუთარი საავადმყოფო აქვს, გავაუქმეთ და იმის სამაგიეროთ ქალაქში ადმინისტრატიული საექიმო სანიტარული ინსპექცია შევქმენით, რომლის მუშაობის მთავარ მიზანათ ოლქი გადავაქციეთ.

საქართველოს წითელი ჯვრის დახმარება მრავალ მნიშვნელოვანი და დიდათ ნაყოფიერი იყო. რამდენიმე ადგილას ოლქში [illegible] და უფასოთ ექიმობის საქმე მოგვარებულია. ეს მუშაობა გრძელდება და მალე ყოველ რაიონში თითო პატარა საავადმყოფოები მაინც იქნება. ქალაქი ერთობაშათ გაბინძურებული და ნაგავით ავსილი იყო, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენდა არა მარტო ბათომისათვის, არამედ მთელი რესპუბლიკისათვის მით უმეტეს, რომ ჩვენ საოკუპაციო მთავრობამ სიბინძურესთან ერთად ჟამიც დაგვიტოვა მემკვიდრეობათ ბათომში. ჟამის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალისტების—პროფ. შიროკოგოროვის, ექიმ ორბელიანის, პროფ. ამირეჯიბის საოლქო ინსპექტორის ელიავას მეთაურობით და ჯანმრთელობის დეპარტამენტის საერთო ხელმძღვანელობით შესაფერი აპარატი შევქმენით ქალაქის თვითმართველობასთან და, მადლობა ღმერთს, იმათი მუშაობით მოსალოდნელი საფრთხე თავიდან უკვე აშორებულია. მარტო ქალაქის ერთი დღის გენერალურმა გაწმენდამ 60000 ფუთი ნაგავი მოაშორა მას. ოლქში ჟამის ერთი შემთხვევაც-კი არ ყოფილა, რაც მოსალოდნელი იყო.

გზათა უწყების მუშაობაც უკვე სასურველ დონეზე აყვანილი.

სახელმწიფო კონტროლის, ხარჯთ-ამკრეფი ინსპექციის, და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობა სრულიად მოწესრიგებულია და ყველა შესაძლებლობაა მათი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

დასასრულ 300 მეტი მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრების დაბინავება ცოტად თუ ბევრათ დიდ შრომას მოითხოვდა და ესეც შესრულებულია. დარჩა მხოლოთ ცოტა ნაწილი მოსამსახურეთა საბოლოოთ დაუბინავებელნი.

რამდენათ მრავალმხრივი იყო ჩვენი ვალდებულება ოლქში გამგეობის საქმეში, ყველაფრის ასე [illegible] ჩამოთვლა ძნელია. „სხივი"—„საქართველოს" გამოსვლა მე წავიკითხე გზაში როცა აქეთ მოვდიოდი, თორემ შემეძლო ყველაფერზე ცალკ-ცალკე ცნობები დამემზადებინა ჩემს კანცელიარიის და სამსჯავროთ გამოგვეტანა. უნდა გითხრათ ოღონდა, რომ ყველაფერი ეს ისე ადვილათ არ კეთდებოდა, როგორც წერილების წერაა ადვილი რედაქციებში ჩამჯდარი თანამშრომლებისათვის. უწყებები უნდა ჩაგვება მუშაობაში, მის გვერდში უნდა ვყოფილიყავით მუდამ და საერთო ხელმძღვანელობა კონტროლის გარდა პირდაპირ თანამშრომლობა და მუშაობა გვიხდებოდა მათთან ერთათ.

მესამე საქმე—ოლქის და ქალაქის მტრებისაგან განთავისუფლება ყველა სხვა საქმეებზე არა ნაკლებ ძნელი და საპასუხისმგებლო ჩემი ვალდებულება იყო. საჭირო იყო მათი გამონახვა, ძირ-ბუდიანათ ამოფხვრა, მაგრამ დიდი სიფრთხილით და წინდახედულობით. ბათომი ინტერნაციონალური ქალაქია, მას ჩვენთვის სწორეთ ამ მხრით აქვს და ექნება უდიდესი მნიშვნელობა მომავალისათვის. საჭირო იყო ყოველი ზედმეტი ელემენტის ინდივიდუალურათ შესწავლა, მისი წარსულის და აწმყოს გათვალისწინება, რომ მტრებთან ერთად რესპუბლიკისათვის სასარგებლო პირებიც არ დაგვეფრთხო და საქმისათვის ზარალი არ მოგვეტანა.

თქვენ იცით, ჩვენი ბათომში ჩასვლისას დენიკინელები და ბოლშევიკები აგრეთვე სეიდი-მილეთლები როგორ კბილებ მოლესილები იყვნენ და რა მუშაობას აწარმოებდნენ. ყველა ამათ ერთი მთავარი ლოზუნგი—საქართველოს მტრობა—აერთებდა.

ჩვენც ამათ მივაქციეთ მთავარი ყურადღება და დღეს შეგვიძლია ვთქვათ კატეგორიულათ, რომ არა თუ განდევნილია მათი ორგანიზაციები ბათომიდან, არამედ ფეხის მოკიდებასაც კი ვერ შესძლებენ ისინი ბათომის ოლქში, თუ კი ჩვენ მიერ ნაცად გზას არ ავცილდებით, სანტიმენტალობის და დემაგოგიის მაგიერ ყველა პარტიები შეერთებული ერთ მთავარ მიზანს, ჩვენი სახელმწიფოებრივობისათვის სამსახურს გავაგრძელებთ. ბათომში განსაკუთრებული პირობებია და მგონია იქ მაინც პარტიულ კინკლაობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თორემ ამით საერთო საქმეს დიდათ ვავნებთ.

ოლქში კიდევაა გაბნეული უცხოელების აგენტები და ჩვენი მტრები, იმათი გამოკრეფაა საჭირო, მაგრამ ჩვენი ნაცადი გზით, რადგანაც ის სწორია.

მთავარი ყურადღება მუდამ მიქცეული უნდა ჰქონდეს ხალხის ნამდვილი ტკივილების განკურნებას. სკოლა, საავადმყოფო, გზები, სურსათი, სასამართლო და ადმინისტრაცია, რომელიც უდანაშაულოთ არავის სდევნიდეს, ქრთამს არ იღებდეს და ბოროტებას არ ფარავდეს.

ჩვენ ამას ვემსახურებოდით და ჩემი მოადგილეებიც ამასვე გააგრძელებენ.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენს მუშაობაში მრავალი დეფექტები იქნებოდა. მაგრამ იმის თქმა, რომ ჩვენ იქ წახდენის მეტი არაფერი გაგვიკეთებია, რომ ავარებსა და კატორჟნიკებს განგებ ვფარავდით,—ყველაფერი ზემოთ ნათქვამისათვის ერთბაშათ ჯვარის დასმა ან ურიგობაა, ანდა, უკეთეს შემთხვევაში, უვიცობა.

სახალხო გვარდიის ყრილობისათვის

ქ. თფილისში, ოქტომბრის 24-ში

მოწვეულია სახ. გვარდიის მეორე ყრილობა

მთავარი შტაბის მიერ ყრილობის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები:

1) მოხსენება საერთო პოლიტიკურ მდგომარეობაზე.
2) მთავარი შტაბის მოხსენება წარსულ მუშაობის შესახებ.
3) მთავარ შტაბის განყოფილებების მოხსენება მათი მუშაობის შესახებ.
4) სახალხო გვარდია, როგორც სამხედრო და სამეურნეო ორგანიზაცია.
5) დისციპლინა და პასუხისმგებლობა სახალხო გვარდიაში.
6) სახალხო გვარდიის ძირითად კანონის შიდასინჯვა.
7) ცვლილებების შეტანა სახ. გვარდიის წესდებებში.
8) დამოკიდებულება შტაბებსა და ნაწილების უფროსებს შორის.
9) სახ. გვარდიის შტატების გადასინჯვა.
10) სახ. გვარდიის ფორმა, ნიშნები და აგრეთვე სამხედრო ნიშნები ბრძოლაში თავის გამოჩენისათვის.
11) მიმდინარე საკითხები.
12) მთავარი შტაბის არჩევნები.

ყრილობისათვის 150 გვარდიელი ირჩევს ერთ დელეგატს. საარტილერიო ბრიგადა ირჩევს თითო ბატარეიაზე თითო დელეგატს.

ცხენოსანი პოლკი—თითო ასეულზე თითო დელეგატს.

საინჟინერო გუნდი, ტყვიისმფრქვეველი რაზმი, ჯავშნიანი მატარებელი და ავტო-ჯავშნიანი დივიზიონი დელეგატს—თითო.

სახ. გვარდიის მუშა-მოსამსახურეთა კავშირი გზავნის 3 დელეგატს სათათბირო ხმით.

საჭირო განმარტება

21 სექტემბრის „ერთობაში" (№ 214) დაიბეჭდა ამხ. განის წერილი, რომელიც ეხებოდა სახალხო გვარდიის მოღვაწეობას და განსაკუთრებით ლანჩხუთის შტაბის წევრების მოქმედებას.

განის მიერ თავის წერილში, სხვათა შორის აღნიშნული იყო შემდეგი: „ლანჩხუთის რაიონულ შტაბის წევრები იმნაიშვილი და მანჯავა გზავნიან შეიარაღებულ გვარდიელს, მიჰყავთ მისი საშუალებით შტაბში სრულიად მშვიდობიანი მოქალაქე, ართმევენ მას რევოლვერს და აგდებენ განზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ნებართვას და როცა მათ ამ თავხედობაზე უთითებენ, მედიდურად აცხადებენ: აქაური მინისტრები ჩვენ თითონ ვართ და რევოლვერს თითონ იკიდებს წელზე. ისინი ამითაც არ კმაყოფილდებიან და შემდეგ ასეთივე თავხედობით მიაქვთ დამფუძნებელ კრების წევრის საკუთარი ნივთი, რადგანაც, როგორც განაცხადეს, მოგვწონსო".

წერილი ამხ. განის ასე თავდება: „ჩვენ ველით, რომ მთავარი შტაბი საზღვარს დაუდებს მკაცრი ხელით ასეთ ხულიგნობას და ასეთ პირებს ნებას არ მისცემს გვარდიის საპატიო სახელით ითარეშოს და ფეხ ქვეშ სთელოს მოქალაქეთა კანონიერი უფლება".

ამ ცნობის გამოქვეყნებისთანავე მთავარმა შტაბმა მიიღო სასწრაფო ზომები, მოახდინა შესაფერი განკარგულებანი, საბუთები, მასალები და გამოძიებანი, რომლითაც მთავარმა შტაბმა განიხილა, აშკარად ამტკიცებენ შემდეგს: თანახმად თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ადერბეიჯანთან ომის გამო, მთავარ შტაბის მიერ გამოცხადებული იყო 30 აპრილს ლანჩხუთის რაიონის საერთო გვარდიელების მობილიზაცია. ლანჩხუთის რეზერვის გვარდიელმა ავრასიონ ილ. ურატაძემ უარი განაცხადა ბრძოლის ველზე წასვლაზე და როდესაც ის თფილისში აპირებდა გამგზავრებას, სადგურიდან წაიყვანეს შტაბში. მან ამის გამო შეურაცხყოფა მიაყენა იქ მყოფ გვარდიელებს, აგრეთვე მთელ გვარდიას და სოც.-დემ. პარტიას.

მისი საქციელის გამო გამოძიება მოახდინა ადგილობრივმა რაიონულმა ორგანიზაციამ და გვარდიის შტაბმა, რასაც შედეგათ მოჰყვა მისი გვარდიიდან გარიცხვა.

რაკი ურატაძემ უარი განაცხადა ომში წასვლაზე, მოვალეობის მოხდაზე და გაირიცხა გვარდიიდან, მას, როგორც გარიცხულს, შტაბმა, თანახმათ ჩვეულებრივ წესისა, ჩამოართვა ლევოლვერი ნებართვით გამოძიებამდის და თოფი, რომლისათვის ამბობდა ჩემიაო, მხოლოთ ჩამოართმევს შემდეგ განაცხადა, რომ თოფი დამფუძნებელ კრების წევრისააო, და ეს იმ დროს, როცა მეორე თოფი დამფუძნებელ კრების წევრის სხვასთან ინახებოდა. ჩამორთმეული თოფი კი ჰქონდა ეფ. ურატაძეს, „როგორც თავისი" და ის თოფი კი გამოძიებამდის დაუბრუნდა ურატაძეს მთავარ შტაბის განკარგულებით.

ბ-ნის მიერ მოხსენებულ პირებს ის ნაშვილს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა, მხოლოთ აფიცერი მანტკავა ასრულებდა მოვალეობას მობილიზაციის გაწვევის დროს და ის არ არის შტაბის წევრი.

გამორკვევა ჩეტკაცებს, რომ არავითარ ძალდატანებას არ ჰქონია ადგილი, არავითარი დამფუძნებელი კრების წევრის ნივთი არ წაუღიათ, არც ამ გვარ ფაქტს მისცემია ადგილი, მხოლოთ როგორც გვარდიიდან გარიცხული აფ. ურატაძე გვარდიელმა დაიბარა შტაბში. განაჩენი გამოუცხადეს და იარაღი როგორც წესია ჩამოართვეს, რადგანაც მან უარი განაცხადა სამხედრო მოვალეობის მოხდაზე.

განიხილა რა ყველა მასალები გამოძიებისა მთავარმა შტაბმა, დაადგინა: 1) ბ. განის წერილი იყო ცილისწამება, შეუწყნარებელი და მას გაზეთში ადგილი არ უნდა მისცემოდა. 2) აფიცერი ურატაძის საქციელი და მისი უარი განსაცდელის დროს მოვალეობის მოხდისათვის, დანაშაულობაა და ღირსი იყო დასჯისა; 3) გამორიცხული იქნეს გვარდიიდან ეფ. ურატაძე და გამოცხადდეს გაზეთში, 4) ლანჩხუთის შტაბის შეცდომაა, რომ ურატაძე არ გაიწვია მობილიზაციაში საერთო სამხედრო წესით და არ მოექცა ისე როგორც ეკუთვნოდა, რის გამო მიეცეს გაფრთხილება ლანჩხუთის შტაბს, რომ მომავალში მობილიზაციის დროს არავითარ დათმობას არ მისცეს ადგილი და დამნაშავეები გადასცეს სამხედრო სასამართლოს.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი.

თეატრი და ხელოვნება

მუშათა ცენტრალური კლუბი.

სეზონის გახსნა. წარსულ წელს მუშათა ცენტრალურ კლუბში ქართული წარმოდგენების საქმე საშინელ მდგომარეობაში იყო. წარმოდგენები უწესრიგოდ და ცუდათ იდგმებოდა. ამან სრულიად შეაფრთხო ქართულ წარმოდგენებს ამ კლუბში მაყურებლები. ეს მიუტევებელი ცოდვა იყო. მუშათა ცენტრალურ კლუბში ქართულ წარმოდგენებს ხალხი სრულიად აღარ ესწრებოდა. მთელმა წელიწადმა ისე გაიარა, რომ ვერ იქნა და ვერ მოგვარდა საქმე. ამიტომ მოუთმენლად მოველოდით ქართული დრამის სეზონის გახსნას ამ კლუბში. და უნდა ვთქვათ, რომ პირველმა წარმოდგენამ დაგვარწმუნა, რომ შესაძლებელია ამ სეზონში იქ ქართული წარმოდგენების საქმის სრული გამოსწორება. შაბათს, 16 ოქტომბერს დაიდგა პირველი წარმოდგენა. სეზონი წელს მიჰყავს ყოფილ ბაქოელ სცენის მოყვარეთა და წარსულ წელს თფილისში შემდგარ დრამატიულ წრის „არმაზი"-ს შეერთებულ დასს, რომელიც ამ 2—3 კვირის წინად შესდგა და მაშინვე ენერგიულად მოჰკიდა საქმეს ხელი. შემუშავებულ იქნა რეპერტუარი, რომელშიაც შედის ქართული დრამატურგიიდან საუკეთესო პიესები. ამ ხნის განმავლობაში ყოველ დღე იმართებოდა რეპეტიციები და განუწყვეტლივ სწორ მოებდა მუშაობა სეზონის გასახსნელად.

სეზონი გაიხსნა ს. ქანტურიშვილის პიესით „მორევში", წარმოდგენა ჩატარდა კარგი ანსამბლით. მონაწილენი ყველა თავთავის ადგილზე იყვნენ. პირველმა წარმოდგენამავე ცხადჰყო უნარიანობა და საქმისადმი სიყვარული.

მაგრამ წარსული წლის ცოდვების შედეგი წელსაც საგრძნობი დარჩა. წარმოდგენას ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. როგორც ვთქვით, ხალხი გადაჩვეულია ამ კლუბში გამართულ წარმოდგენებზე სიარულს. ჩანს, დიდი მუყაითობა დასჭირდება დღევანდელ დასს, რომ ისევ შემოკრიბოს აუდიტორია. პირველმა წარმოდგენამ ისეთი კარგი შთაბეჭდილება დასტოვა, რომ იმედია საზოგადოებას წელს მიიზიდავს მუშათა ცენტრალური კლუბი

შ. ბ—ლი

კულტურული მუშაობა გვარდიაში.

ქ. ჭიათურა. 4 ოქტ. ადგილობრივ პროლეტარიის დარბაზში შესდგა ჭიათურა-საჩხერის რაიონის გვარდიელების ყრილობა, რომელსაც დაესწრო მთავარ შტაბის წევრი ზაქარია გურული.

ყრილობას თავმჯდომარეობდა შტაბის თავმჯდომარე სიხარულიძე კრებამ განიხილა შემდეგი საკითხი: 1) ყრილობის წესრიგის ახსნა-განმარტება, 2) დელეგატების არჩევა და 3) მიმდინარე კითხვები.

პირველათ მოხსენებას აკეთებს ყრილობის დღის წესრიგის შესახებ მთავარ შტაბის წევრი ზაქ. გურული, რომელიც უმარტავს კრებას ყრილობაზედ წამოყენებულ საკითხებს, კრებამ იქონია რა მსჯელობა ზოგიერთ საკითხების შესახებ, გამოიტანა თავისი შეხედულება და დაავალა დელეგატებს მისი დაცვა. კრებამ კვლავ განმეორებით გამოსთქვა სურვილი, რომ ყრილობაზედ გაირჩეს ჭიათურის შტაბის სათემო შტაბათ გადაკეთების საკითხი. დელეგატებათ იქნა არჩეული სერაფიონ სიხარულიძე, შალიკო გოდაბრელიძე, ვალიკო ჩუბინიძე, მელ. დორბოჯგინიძე, შალიკო კუპატაძე და ირაკლი გამეზარდაშვილი, რომლებიც უნდა დაესწრონ თფილისში გვარდიის ყრილობას.

კრებას უნდა აერჩია 8 დელეგატი, თანახმად წესდებისა; მაგრამ აირჩია ხუთი დელეგატი, ვინაიდან მეტი დელეგატების არჩევა გამოიწვევდა ზედმეტ ხარჯებს.

შალიკო ხვადაბუნელი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 14 ოქტომბერს შეიკრიბა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. პირველ ყოვლისა მოსმენილ იქნა მოხსენება თფილისის კომიტეტიდან, რომელიც შეეხებოდა კარლ კაუცკის დაბადების დღის აღნიშვნას. კოლექტივმა გამოსთქვა თავისი აღფრთოვანება ამის შესახებ და დაადგინა: ვინაიდან თფილისის პროლეტარიატი ბედნიერია დღეს მითი, რომ ის თავისთან ახლოს გრძნობს საერთაშორისო პროლეტარიატის ბელადის და დიდი მასწავლებლის კარლ კაუცკის ახლოს ყოფნას, სიხარულით ეგებება მის დაბადების დღეს, გზავნის თავის წარმომადგენელს მხურვალე სალამით და ღრმა სურვილებით, რათა დიდმა მასწავლებელმა კიდევ დიდხანს იცოცხლოს მუშათა კლასის საკეთილდღეოთ.

ამხ. ანდრო ვაშაკიძე კოლექტივს აცნობს, რომ ავლაბრის სახალხო გვარდიამ გახსნა იაფ-ფასიანი სასადილო კოოპერატიულ ნიადაგზე, სადაც მზადდება მეტად იაფად და კარგად დამზადებული კერძები. მოხსენება მოსმენილ იქნა და გამოითქვა სურვილი, რომ ამ სასადილოს ყოველი მხრით შეუწყონ ხელი ამხანაგებმა, რომ არსებობა სასადილოსი იყოს ხანგრძლივი, ვინაიდან ავლაბარში არ არის ისეთი სასადილო, სადაც შესაძლებელი იყოს გემრიელი ლუკმა მიიღოს მოსახმარებელმა.

მოსმენილ იქნა განცხადება ავლაბრის რაიონის ყასბების თავგასულობის შესახებ, რომ ეს უკანასკნელნი არ ყიდიან ნიხრზე ხორცს, და თუ ნიხრით მოითხოვა მუშტარმა ხორცი, მაშინ სულ გადამალავენ. ამავე დროს ქალაქის გამგეობის აგენტები გულგრილად უყურებენ ამ მოვლენას.

კოლექტივმა სასურველად დაინახა, თუ ადგილი ექნება ასეთ შემთხვევას, საჭირო იქნება მოქალაქემ შეადგინოს ოქმი მილიციასთან თანადასწრებით და მისცეს საქმეს შესაფერისი მსვლელობა.

არამიანცის საავათმყოფოდან ამხ. ნაგ. ელიზბარაშვილი კოლექტივს აცნობს, რომ იქ შესდგა ახალი პარტიული იაჩეიკა, არიან წვრილ-ფეხა კომუნისტებიც, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის წყალობით პურს სჭამენ და ამავე დროს მაინც აგიტაციას ეწევიან ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოთ. მომხსენებელი აღნიშნავს ამ აგიტაციის უნიადაგობას, და თან ამბობს, რომ მას შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა ადგილობრივ წვრილფეხა კომუნისტების საზარალოთ, რაც კომუნისტმა კვარაცხელიამ საავათმყოფოს ფულები გაიტაცა და მიიმალა.

ბელგორკის ქვე-კოლექტივში არსებულ კონფლიქტების გამოსარკვევად არჩეულ იქნენ ამხ. მ. წივწივაძე და დ. ჩუთლაშვილი.

ქვე-კოლექტივი უნდა შეიკრიბოს შაბათს, 16 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე. **ვერხვი.**

ქ. სოხუმი. 18-სექტემბერს მოწვეულ იქნა ს. ს. დ. მ. პ. ქ. სოხუმის ორგანიზაციის წევ. კრება. კრების თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა დამფუძნებელ კრების წევრი ამხ. ვ. ნოდია და მდივნათ გ. არაბულიძე. დღის წეს-რიგში იყო შემდეგი საკითხები: 1) ქალაქის კომიტეტის მოხსენება, 2) საწევრო გადასახადის გადიდება და 3) ახალი არჩევნები ქ. კომიტეტისა. პირველი კითხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ს. რამიშვილი. მოხსენებიდან ირკვევა, რომ კომიტეტს დიდი ნაბიჯები გადაუდგამს როგორც ორგანიზაციული, აგრეთვე პროფესიონალური მუშაობაში მოუწყვია ყველა კავშირებში იაჩეიკები და სხვა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია: „მოისმინა რა სოხუმის ქალაქის კომიტეტის მოხსენება, საერთო კრება ს. დემოკრატიული ორგანიზაციის წევრებისა იწონებს მის საერთო ხაზს და მოითხოვს, რომ ახლად არჩეულ კომიტეტმა მეტი ენერგია გამოიჩინოს პარტიულ მუშაობაში". საწევრო გადასახადის გადიდების შესახებ კრება იღებს, იქნას საწევრო გადასახადი გადიდებული ხუთ თუმნამდე. ყველა ამ კითხვის გარჩევის მერე, კრება გადადის კომიტეტის ახალ არჩევნებზე. კრება საჭიროთ სცნობს ახალი კომიტეტი იქნეს შემდგარი ცხრა კაცისაგან.

კომიტეტში არჩეულ იქნენ: მ. მგელაძე, ს. რამიშვილი, დ. დგებუაძე, ი. წულევა, ხ. ავეტიქიანი, ჩ. მიტილიდი, რ. კილურაძე, ვ. ვაშალომიძე და გ სტურუა. ამ დღეებში მოხსენებას გააკეთებს დამფუძნებელი კრ. ს. დემ. ფრაქციის წევრი ამხ. მაჭავარიანისა, სახელმწიფო ბიუჯეტის და შრომის ხელშეკრულობის შესახებ. **დიომიდე კოკაია.**

მუშათა შორის

გურიის პროფესიონალურ კავშირებში.

28 სექტემბერს შესდგა გურიის პროფ. კავშირების გამგეობის სხდომა. დღის წესრიგში იყო: 1) ძაფის სახვევი ფაბრიკის მუშების მიღება-დათხოვა, 2) ფაბრიკაში მუშათა დამატებითი სიის გაგზავნა, 3) სავალდებულო დადგენილება, 4) ფაბრიკაში საათის დაკიდება 5) ჯამაგირების გადიდება.

საბჭოს გამგეობამ სამაზრო ერობის სავაჭრო-სამრეწველო განყოფილების წარმომადგენელთან შეთანხმებით დაადგინა: მუშების მიღება რჩება ისევ საბჭოს ხელში, მხოლოდ დათხოვა ხდება საბჭოს გამგეობის ერობის წარმომადგენელთან შეთანხმებით.

გამგეობამ დაადგინა: 1) გაიგზავნოს ფაბრიკაში მუშების დამატებითი სია, 2) გაიგზავნოს ფაბრიკაში მუშების საყურადღებოდ სავალდებულო დადგენილება: რვა საათის სამუშაო დღის განმავლობაში შრომის ინტენსიურად წარმოებისა და საერთოდ დაკისრებული მოვალეობის პირნათლად შესრულების შესახებ; 3) ეთხოვოს ერობის გამგეობას, რათა ფაბრიკაში დაკიდულ იქმნას კედლის საათი—განსაზღვრული სამუშაო დროს სასტიკად დაცვის მიზნით. 4) ამავე ფაბრიკის მუშების ჯამაგირების გადიდებას სცნობს რა საჭიროდ, გამგეობას ეს საკითხი გადააქვს საბჭოს მორიგ სხდომაზე.

ალ. მენაბდე.

ბიბლიოთეკართა კავშირი.

10 სექტემბერს შესდგა ბიბლიოთეკართა პროფესიონალური კავშირის დამფუძნებელი კრება, რომელმაც განიხილა ნორმალური წესდება და ითათბირა კავშირის დაარსების საჭიროების შესახებ. აზრთა გაცვლა-გამოცვლამ კრებისთვის ნათელ ჰყო, რომ აუცილებელი საჭირო არის ამ დარგში მომუშავეთა შეერთება შეკავშირება. კავშირის დაარსებამდე, რომლის საწინასწარო მუშაობისთვის არჩევს ხუთი კაცისაგან შემდგარ კომისიას, არჩეულ იქნენ: გ. გორინა, ი. დარახველიძე, ა. ბილიბინა, გ. ბალუშაშვილი და რამიშვილისა.

კრებამ სურვილი გამოსთქვა, რომ კავშირში მონაწილეობა მიიღონ ისეთმა პირებმა, რომლებიც დღეს არ მსახურებენ ბიბლიოთეკებში, მაგრამ ინტერესებს ბიბლ. საქმე და ყოველგვარად ხელს უწყობენ მის გაუმჯობესებას. ასეთი წევრები (თუ მომავალი საერთო კრება ამას შეძლებლად ცნობს) მიიღებიან სათათბირო ხმით თანამშრომლებად. კრების დადგენილებით ყველა ბიბლ. მოსამსახურეთათვის სავალდებულოა კავშირში ჩაწერა, რომლისთვისაც ერთდროულად უნდა გადიხადონ 100 მან. საწევრო გადასახადი იქნება ერთი პროცენტი ჯამაგირისა.

კომისიის ვალდებულება არის ნორმალური წესდების შესწორება, საერთო კრების მოწვევა და მომავალი მუშაობის გეგმის შედგენა საზ. კრების წასარდგენათ.

კომისიის სხდომები დანიშნა ოთხშაბათობით საღამოს 7 საათზე.

ცაც.

პროვინცია

სამტრედიის რაიონი. ეწერისა და იანეთის თემებთა შორის მწვავე ურთიერთობა დღიდან მათი განაწილებისა მაინც ისევ გრძელდება. ვერ იქნა და ვერ მოგვარდა ის სადაო საკითხები, როგორც არის საზღვრის გადამიჯვნა, ძველი სამმართველოს შენობის განაწილების საქმე და სხვა.

ეწერ-იანეთის გაყოფის საკითხი თავიდანვე ისე გამწვავდა, რომ იძულებული იყვნენ ამ საქმეში სარაიონო და სამაზრო ალ. კომიტეტებიც ჩარეოდენ. დიდი რავის ტეხვის შემდეგ იანეთის თემი გამოყოფილი დარჩა, ხოლო საბოლოოთ მისი ცნობა და დამტკიცება მომავალ სამაზრო ერობას მიენდო. სამაზრო ერობამ ეს ფაქტი უარყო, ეწერ-იანეთი ძველ ადმინისტრატიულ ფარგლებში დატოვა და ეწერის თემის კომპრომისი, რომ სამმართველო გადაეტანათ ნაკაშიძისეულ საფუძლოს მიწაზე მოიწონა და დაამტკიცა—კიდეც, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შემდეგაც იანეთის ხმოსნები ეწერს არ შეუერთდენ, რის მეოხებითაც ორივე თემი მთელი ექვსი თვე უმოქმედოთ დარჩა. იანეთის მხრივ ამგვარმა მოქმედებამ სამაზრო ერობის გამგეობაც დათმობისაკენ გადაიყვანა და მისცა მას ცალკე თემით არსებობის უფლება. იანეთი ოღონდ ცალკე გასულიყო და ყოველივე ხარჯებს კერძოთ კისრულობდა, საერთო ქონებაზე, სამმართველოს შენობაზედაც ხელს იღებდა, მაგრამ დღეს ამ საქმეზე სასამართლოში საჩივარს განაგრძობს. აი ასეთი გახლავს ისტორია ეწერ-იანეთის განაწილების შესახებ. ამ დავიდარაბას მოუსწრო მიწების რეფორმის ცხოვრებაში გატარებამ და აგრარულ რაიონების რეგისტრაციის მიხედვით ნაკაშიძისეული მიწა მცირე გამონაკლისის გარდა კულაშის რაიონში გადაირიცხა, რომელშიაც ეწერიც შედის. ამ გარემოებამ იქონია დიდი გავლენა იანეთის თემის მცხოვრებლებზე, რომლებიც წინათაც დიდის ეჭვებით უყურებენ გამოყოფვის საკითხს და რომლებმაც დაინახეს, რომ ხელმძღვანელების დაპირება არ გამართლდა, საფუძლო მიწა კანონმა ეწერს მიაკუთვნა, რომლებზედაც არიან და აი ამ ხალხმა დაახლოებით ორას კომლზე მეტმა გადაწყვიტეს თხოვნის საშუალებით მიემართათ სამაზრო ერობის თავმჯდომარისათვის, რათა მიექცია მათთვის სათანადო ყურადღება, გამოეგზავნა რწმუნებული და ამ ორი თემის ძალათ გათიშვის საქმე ხალხის შეკითხვისა და გამორკვევის შემდეგ ხელ ახლათ გადაესინჯათ.

ამ ნიადაგზე იანეთის თემის გამგეობამ დააპატიმრა ოთხი კაცი, რომლებსაც შეუდგინა ოქმი, როგორც ანარხიის მომხდენთ, თემის მოღალატეებს და ამბობენ კიდევ, „როგორც ბოლშევიკებსო"—და ადმინისტრატიულის წესით ერთის თვით ჩაასმევინეს სამაზრო ციხეში. ამ ფაქტმა კიდევ მეტათ გააბოროტა ის ნაწილი მცხოვრებლებისა, რომლებიც თან უგრძნობდენ დაპატიმრებულთ. მათ კოლექტიური თხოვნით მიმართეს სამაზრო ერობის გამგეობას, რომელშიაც აწერილი იყო ეწერ-იანეთის გაყოფის ისტორია და ბოლოს ოთხი კაცის უსამართლოთ დაპატიმრების საქმე. მაგრამ რაღაც ნაირათ ამ თხოვნას სათანადო ყურადღება ვერ მიექცა. ბოლოს მათ მიმართეს შუამდგომლობისათვის დამფუძნებელ კრების წევრს ი. კოპალეიშვილს, რომ გამოერკვია საქმის ვითარება, რომელმაც იკისრა ეს საქმე და სინამდვილის გამორკვევის შემდეგ გაანთავისუფლეს დაპატიმრებულნი. ამ ნიადაგზე დღესაც დიდი უკმაყოფილება არსებობს, იანეთის თემის ერთ ნაწილს სურს შეუერთდეს ეწერის თემს, მეორე ნაწილი წინააღმდეგია. საქმის ვითარება სამაზრო ერობის თავმჯდომარეს საფუძვლიანათ გაცნობილი აქვს და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ ის მიიღებს სათანადო ზომას.

ნეიტრალური პირი.

ს. მარტვილი. (სენ. მაზ.) ამ დაბაში არსებობს ხუთი პირველ სხვა და სხვა ქალ-ვაჟთა დასაწყისი, ერთი უმაღლეს დასაწყისი პარალელურ საქალებო განყოფილებით სასწავლებელი. აქ არსებობს გიმნაზია, სავათმყოფო ქსენონი, სასამართლოს დაწესებულება, ფოსტა-ტელეგრაფი საჯარო წიგნთ-საცავ სამკითხველო, და სხვა. ეს დაბა ადგილი დღეს დღეობით მიუვალ უდაბნოთ გადაქცეულა, ქალაქ სენაკთან, ხონთან და არცა დაბა აბაშასთან არ არის საეტლო მიმოსვლა, ჯერ ორი წლის წინეთ კი დადიოდა ყოველ დღე დილიჟანები და ეტლები როგორც სენაკში, ისე ხონში და სადგურ აბაშაში. დღეს კი მარტვილში რომ წახვიდეთ, ქუთაისიდან მიხვალ ეტლით ხონამდე, სენაკიდან ნოქალაქევამდე და აბაშიდან ბანძამდე შემდეგ კი მარტვილამდე რო მიაღწიო 12 ვერსი ფეხით, ცხენით, ან ურმით უნდა იარო, რაც დიდ ხარჯებს იწვევს. ასეთ გასაჭირის გამო თფილისის სატრანსპორტო საზოგადოების სამმართველოს თავმჯდომარე ბ. გ. ფიცხელაურს მიმართეს მარტვილის წარმომადგენლებმა სიტყვიერად და უკანასკნელად კი ოფიციალურად მარტვილის თემის ერობის გამგეობამაც წარსული თვის 22 აგვისტოს № 2345-თა თხოვნით მიმართა, რომ მას მოკლე დროში გაეხსნა სადგურ აბაშიდან მარტვილამდე სამგზავრო ავტომობილებით მიმოსვლა. ბ. ფიცხელაურმა აღუთქვა მარტვილებს, რომ ტრანსპორტის საზოგადოება ავტომობილებით მიმოსვლას გახსნის. საჭიროა, რაც შეიძლება ჩქარა იქნას მოწესრიგებული მიმოსვლის საქმე, თორემ ხალხი მეტის მეტად შევიწროვებულია და ყოველგვარ კარგ საქმეს მოკლებული უგზოობის გამო.

გ. მარტვილელი.

სოფ. ანაგა. (სიღ. მაზ.) ეს სოფელი მდებარეობს სიღნაღის მაზრაში და დაშორებულია ქ. სიღნაღს მოკლე გზით $3^1/_2$ ვერსით, კახეთის რკინის გზის ბაქანს კი $1^1/_2$ ვერ, რომელიც გამოდის სოფლის ბოლოს ვენახებში. მცხოვრებთა მეტი ნაწილი მევენახეობას მისდევს და ყველა თითქმის შეძლებულია. კულტურულად სხვა ქიზიყის სოფლებთან შედარებით წინ სდგას. არსებობს: კოოპერატივი, ბანკი, ქსენონი, სადაც 2-რი ექიმი და ერთიც ბებია ქალია, სამკითხველო, თეატრი, შრომელთა ახალგაზრდა წრე, პირველ დაწყებითი სასწავლებლები, სადაც მასწავლებელთა რიცხვი 8 კაცს აღემატება, შემოდგომიდან ოთხ კლასიანი სასწავლებელი გაიხსნა, თუმცა სწავლა ჯერაც არ დაწყებულა. ხალხში იგემა განათლება მოწინავე ინტელიგენტთა წყალობით, ხელიც მიუწვდებათ და თითქმის ყველა ასწავლის შვილებს, თუმცა სასწავლებლის შენობის უქონლობა აფერხებს საქმეს, მაგრამ მიუხედავად ამისა უკვე ჩვენს სოფ. ჰყავს 20 მდე სტუდენტი. ხალხი ვაჭრობასაც მიეჩვია, რკინის გზის სადგურის სიშორე აფერხებს საქმეს, თუმცა გადაწყვეტილი იყო ნახევარ სადგურის დაარსება, რომელზედაც დათანხმდა რკინის გზის სამმართველოც, მაგრამ ერობის და ადგილობრივ მოხელეთა დაუდევრობით ჯერაც არაფერი ისმის.

ადგიხისი.

აბასთუმანი. აბასთუმნის კოოპერატივის „ჯანმრთელობის" საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება ამ კოოპერატივის მოღვაწეობის შესახებ, დაადგინა: მადლობა გამოუცხადოს ეგ. დარჩიას, რომელმაც დიდათ შეუწყო ხელი ხსენებულ კოოპერატივის აღორძინებას. კრებამ დარჩია აირჩია საზოგადოების საპატიო თავმჯდომარეთ.

X.

წერ. რედაქციის მიმართ

ამხანაგო რედაქტორო! ბოდიშს ვითხოვ თქვენს და მკითხველთა წინაშე, რომ ერთხელ კიდევ შეგაწუხოთ ამ ჩემი წერილით, მაგრამ ნათქვამია „მტყუანს კარამდის უნდა მიჰყვეო".

„ახალი სხივის" № 25-ში, მეპრესე მიუთითებს მკითხველს „ერთობის" № 230-ში კონტროლიორის ბ-ნ კანდელაკის განმარტებაზე და სრულიად შეგნებულად დაუმალა ამავე მკითხველს „ერთობის" № 232-ში მოთავსებული ჩემი პასუხი.

ამის შემდეგ მეპრესემ იხმარა ჩემს პიროვნების შესახებ შემდეგი ფრაზები: „.....ი. ყიასაშვილი მატყუარა ყოფილა", „ი. ყიასაშვილი სტყუის....." და სხვ.

რომ საბოლოვოდ ბოლო მოეღოს „ახალი სხივის" უსაბუთო გამოლაშქრებას, ვიწვევ მეპრესეს და თუ ის ინკოგნიტოს ახსნას არ მოისურვებს, მაშინ „ახალი სხივის" რედაქტორს სამედიატორო სამართალში, რათა ამ უკანასკნელმა გამოიკვლიოს და საჯაროდ გამოაცხადოს, თუ ვინ არის ჩვენ შორის მატყუარა—მე თუ „ახალი სხივის" მეპრესე. პასუხს ველი გაზეთ „ერთობაში" სამი დღის განმავლობაში, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა.

მედიატორებს დავასახელებ მაშინვე, როგორც მივიღებ თანხმობას.

ი. ყიასაშვილი.

რედაქტორი ლევან ნათაძე

განცხადებანი

ვასწორებ ჩამორჩენილ მოწაფეებს
მათემატიკაში
ბავშვებს და მოზრდილთ ვამზადებ
მე 2, 3, 4, 5, 6 კლასის
მოწმობის მისაღებად და ყველა სასწავლებელში შესასვლელად ყველა საგნებში. პლეხანოვის ქ. 25, (შესავალი ალექსის ქუჩის კუთხიდან 5) ი. მ. მახარაძის ბინა. (3333 10—5)

ექიმი
სოლომონ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
დაბრუნდა და იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს-დის პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 64 (საავადმყოფოს ახლოს) ტელეფონი-14—60. (18—ოქტ.)

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63.

ექიმი
გენრიხ ისაიას ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებიან ავადმყოფებს დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 74 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16—ნოემ.)

კ. ზ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606" და „914" შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (7 ნოემ.)

ექიმი
ნ. ლ. ცურიაშვილი
იღებს საბებიო, ქალისა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევისა, შუადღის 1—2 და საღ. 4—5 ს. ჩერქეზოვის ქუჩაზე № 22 ყოფილი სასულიერო სასწავლებელი. ტელეფონი 14—13. (24—ოქტ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
პიღურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
გ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქ. № 22, [illegible]

ექიმი
ი. ა. ლომოური
შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობით შეპყრობილთ იღებს დილ. 10—12-დე და საღამოს 6—7 საათ. კირქის (კიროჩნი) ქუჩა № 6. ტელეფ. 6—80. (4—ოქტ.)

კერძო
სამკურნალო
სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის
ექიმ
ე. გ. მძინარიშვილისა
შეშხაპუნება „606" და „914". ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4-8 ს. ფასი 100 მ. უსახსროთათვის უფასოდ 12—2 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტის და კირქის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (1-ნოემ.)

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღსთან ქაშვეთის ეკლესიის ახლოს. (30—ოქტ.)

ექიმი **ა. დ. კეკელია**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დღისით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—ნოე.)

ექიმი **მ. ა. შაურანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606" და „914" ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი: [illegible] ქ. № 35. 21 ნოე.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914 ვენერიული (ტრიპერი), შარდის ორგანოების ოპერაცია ენდოსკოპია (საშარდე მილის). ნოვო-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 9—12 (საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე. 5—ნოე)

ექიმი
ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 7—ნოემ.

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 ნოემ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებიან ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი გიპნოზი. მიღება: დილის $10^1/_2$—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირა დღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (23—ოქტ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: **საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ.** (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7 $^1/_2$ საათ. მიხეილის საავადმყოფოსთან ბელგიის ქ. № 1. (16 ნოემ.)

14 ოქტომბერს მატარებლით მოვდიოდი სად. გურჯაანიდან; კახეთის ნავთლუღში რომ მოვედი მილიციონერმა მატარებლიდან გადმოსვლა და
ჩემი ბარგი ღირებული 10,000 მ.
ჩავაბარე მატარებელში მჯდომ ს. მუკუზანის მცხოვრებს. რომელსაც თავის მხრით ჩემი ნივთები გადაუცია ავლაბრის სკოლის ერთ მასწავლებლისთვის. ბ. მასწავლებელს (რომლის სახელი და გვარი ვერ გავიგე) ვთხოვ მიცნობოს თავის მისამართი. ჩემი მისამართი: ვერა, სლეპცოვის შესახვევი № 3. მაკა ქელიძეს. (3402—1—1)

20 ოქტომბერს, დღის 2 საათზე, სახალხო გვარდიის მთავარ შტაბის ცხენების განმანაწილებელ განყოფილებაში (კახეთის ქ. № 34).
საჯარო ვაჭრობით
გაიყიდება დაწუნებული **ცხენები.**
(3396 1—1)

განცხადება

14 ნოემბერს, 1920 წ. დღის 12 საათზე, ალბულაღის თემის დარბაზში (ალბულაღში) დანიშნულია საჯარო ვაჭრობით გაიყიდეს 500 წიფლის ხეები დაბეჭდილ აგარაკებში: „დრანეთი", „ჯიგრაშენი", „გუდარეხი", და 500 მუხის ხეები დაბეჭდილი აგარაკებში: „ღორის-თავი", „ციხნარი" ალბულაღის სატყეოსი.

ხეები დაბეჭდილია საკასრო ფიცრებისათვის. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე 9—2 საათამდი, ალბულაღის სატყეო სამმართველოში.

(3397 1—1)

ალბულაღის ტყის გამგე **ნ. უგრეხელიძე.**

სახალხო სტამბა, გრიბოედოვის ქუჩა №4